# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 24 იანვარი, 2012 წელი.

№14 (6891)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# ...და რუსი ყველა ნაკვალევს შლის



ბედიის ტაძარში ბაგრატ მესამის ფრესკა, სავარაუდოდ, რუსებმა გაანადგურეს 4

# „კავკაზ 2012" ისეთივე მანევრია, რომელიც 2008 წელს ომით დასრულდა 3

## ოკუპირებული რეგიონების ევრაზიულ კავშირში გაწევრების 6 შესაძლებლობა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საფრთხეა

## პუტინი რობერტსონს ნატოში ურიგოდ 8 შესვლას სთხოვდა

სტატუსი

## FREEDOM HOUSE: საქართველო „ნაწილობრივ თავისუფალი" ქვეყანაა

საქართველოს მაჩვენებლები Freedom House-ის ყოველწლიურ ანგარიშში უცვლელია და ის კვლავ „ნაწილობრივ თავისუფალ" ქვეყნად რჩება.

„თავისუფლება მსოფლიოში 2012 წელს" იკვლევს 195 სახელმწიფოსა და რამდენიმე „სადავო ტერიტორიაზე" არსებულ სიტუაციას მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების თვალსაზრისით და ასახავს 2011 წელს განვითარებულ მოვლენებს. თითოეულ ქვეყანას ან ტერიტორიას ენიჭება სტატუსი „თავისუფალი", „ნაწილობრივ თავისუფალი" ან „არა თავისუფალი" პოლიტიკური უფლებების და სამოქალაქო თავისუფლებების კატეგორიებში მიღებული ქულების მიხედვით 1-დან 7-მდე შკალაზე, სადაც 1 წარმოადგენს ყველაზე თავისუფალს, ხოლო 7 ყველაზე ნაკლებად თავისუფალს.

საქართველოს ქულა პოლიტიკური უფლებების და სამოქალაქო თავისუფლებების კატეგორიებში უცვლელი დარჩა და წინა ანგარიშის მსგავსად, კვლავ 4-ზე და 3-ზე შენარჩუნდა, შესაბამისად.

„საქართველოში პრეზიდენტი სააკაშვილი კვლავ კრიტიკის სამიზნედ რჩება იმ მცდელობების გამო, რომლებიც მიმართულია პოტენციური ოპოზიციური ფიგურების მარგინალიზაციისკენ", — ნათქვამია ანგარიშში.

ბოლო ანგარიშში საქართველო კვლავაც „არჩევითი დემოკრატიის" სტატუსის გარეშე რჩება — ეს სტატუსი საქართველომ Freedom House-ის 2009 წლის ანგარიშში დაკარგა, რომელიც წინა წლის საპარლამენტო და ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულ მოვლენებს ასახავდა.

Freedom House-ის კვლევაში ასევე მოხსენიებულია აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომლებიც „სადავო ტერიტორიების" კატეგორიაში გადიან. წინა ანგარიშების მსგავსად, სამხრეთ ოსეთს „არა თავისუფალის," ხოლო აფხაზეთს „ნაწილობრივ თავისუფალის" სტატუსი აქვთ მინიჭებული.

მამია ალაშვილი



# 3. დაუდევრობა-დოყლაპიობა თუ გამიზნული ბოროტმოქმედება? 5

რატომ, რანაირად, ვისი ბედოვლათობითა თუ ანგარებიანი უპასუხისმგებლობით აზარალა ათობით მილიონი ლარით სახელმწიფოს ბიუჯეტი შპს „ქინერმა?"

№14. სამშაბათი, 24 იანვარი, 2012 წელი.

◉ პარტიებსა და მოძრაობებში

# „ქართული ოცნება" 20-წლიან ტრადიციულ დიპლომატიას შეცვლის

**გუშინ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" საგარეო პოლიტიკის ჯგუფის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც თედო ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა.**

**საგარეო პოლიტიკის ჯგუფი წარმოდგენილია საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი ადამიანებით, ყოფილი ელჩებით, ექსპერტებით, როგორებიცაა: კოტე სურგულაძე, კოტე ჟღენტი, მაია ფანჯიკიძე, დავით ზალკანიანი, ნიკო მელიქაძე, ზაალ გოგსაძე, ლანა ღოღობერიძე, ივლიანე ხაინდრავა.**



თედო ჯაფარიძის განცხადებით საგარეო პოლიტიკის ჯგუფი ძალიან საინტერესო და ნიჭიერი ადამიანებით არის დაკომპლექტებული, რომელთაც საერთო მიდგომები და პრინციპები აერთიანებს. რა თქმა უნდა მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაც არსებობს, მაგრამ მთელი ჯგუფი ერთი იდეის ირგვლივ არის შეკრებილი, რასაც საქართველოს აღმშენებლობა ჰქვია.

ჯგუფის საქმიანობის მიზანია საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის, პოლიტიკური პრიორიტეტებისა და მიზნების ერთიანი გააზრება, მათი გადაწყვეტის კონცეპტუალური საფუძვლებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების შემუშავება, რომელიც დაეყრდნობა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკური ხედვის შესაბამისი იქნება.

მუშაობა სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართება: დასავლეთის ქვეყნებისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ურთიერთობა; მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობა და დიასპორასთან ურთიერთობა.

თედო ჯაფარიძის თქმით, ევროატლანტიკურ მიმართულებას უხელმძღვანელებს მაია ფანჯიკიძე, რომელსაც ევროპაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ასევე მნიშვნელოვანია ურთიერთობა უახლოეს მეზობელ სახელმწიფოებთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, განსაკუთრებით გამოყოფენ აზერბაიჯანს, რადგან ის რეგიონში გიგანტი სახელმწიფოა და მისი ინტერესების გათვალისწინება უთუოდ მნიშვნელოვანია.

საგარეო-პოლიტიკური ჯგუფი ასევე დიდ ყურადღებას დაუთმობს ისეთ სახელმწიფოებთან ურთიერთობას, როგორებიცაა: უკრაინა, მოლდოვა, თურქეთი, ირანი, განსაკუთრებით კი ისრაელი, ხელმძღვანელი კოტე ჟღენტი იქნება.

ხაზგასმით აღინიშნა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის საკითხი. ვეცდებით აღვადგინოთ ეს ურთიერთობები – განაცხადა თედო ჯაფარიძემ, – ამისთვის სერიოზული მუშაობა მოგვიწევს. ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ ის მინუსები და ხარვეზები, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებობს. ტრადიციულმა დიპლომატიამ, რომლითაც 20 წელია ვხელმძღვანელობთ, შედეგები არ გამოიღო, ამიტომ ახალი ხერხებისა და გზების მოძებნა მოგვიწევს. ამისთვის მზად არიან ითანამშრომლონ საგარეო პოლიტიკის ყველა ექსპერტსა და სპეციალისტთან, გაითვალისწინონ მათი წინადადებები და შენიშვნები.

ქალბატონი ლანა ღოღობერიძის განცხადებით, იწყება დიდი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლის მეშვეობით შეიქმნება დოკუმენტი, თუ როგორი სახელმწიფო უნდა ავაშენოთ და როგორი ქვეყანა გვექნება უახლოეს მომავალში. ეს იქნება ევროპულ ფასეულობებზე დაყრდნობილი რეალური პოლიტიკა, სადაც ყოველი ადამიანის სიტყვას, თუ როგორი უნდა იყოს მისი ქვეყანა, ფასი ექნება.

**ლია გრიგოლია**

◉ ხალხი და პრეზიდენტი

# სააკაშვილთან შეხვედრაზე რუსთავის თეატრმა დროულად მხოლოდ დამლაგებელი მიავლინა

**რუსთავში პრეზიდენტის სტუმრობისთვის სამზადისი რამდენიმე დღით ადრე დაიწყო. დავალება, სააკაშვილის გულანთებული მხარდამჭერების მოსაგროვებლად, რუსთავის თვითმმართველობის გარდა, ქალაქის სკოლების, საბავშო ბაღების, საავადმყოფოს და მუნიციპალური თეატრის ხელმძღვანელებმაც მიიღეს. ასევე, პასუხი გაეცა მარადიულ კითხვას — „რა სარგებლობა მოაქვთ მამასახლისებს?" „მეც მამასახლისი ვარ. სადარბაზოდან 5 კაცის მოყვანა დამავალეს. ერთიანობაში 30 კაცი გამომდის. იმედია, ყველა მოვა. მოვკვდი ნერვიულობით " — ერთმანეთს უზიარებდნენ დარდს რუსთავის 21-ე მიკრორაიონის მამასახლისები.**





„საბავშო ბაღიდან დამირეკეს და მთხოვეს, რომ ბავშვთან ერთად მოვსულიყავი, ახლა ირკვევა, რომ ბაღის სიაში ჩემი შვილის გვარით ვარ შეტანილი, მე კი ქმრის გვარზე არ ვარ გადასული. გამოდის, რომ ტყუილად მოვედი" – უხსნიდა პრეზიდენტის დაცვის წევრებს რუსთავის №1 საბავშო ბაღის მშობელი სირბილაძე.

სანერვიულოდ ჰქონდათ საქმე მუნიციპალური თეატრის წარმომადგენლებსაც. პრეზიდენტი სულ რაღაც რამდენიმე საათში მოადგებოდა ჭავჭავაძის ქუჩის ეზოს, არადა თეატრიდან მასთან შესახვედრად, მხოლოდ დამლაგებელი გამოცხადდა. აღმოჩნდა, რომ თანამშრომლებს შეხვედრის საათი დროულად ვერ შეატყობინეს.

სააკაშვილის შესახვედრად ბევრი დაუპატიჟებელი რუსთაველიც მოვიდა. მოქალაქეები, რომლებიც არც ერთ სიაში არ იყვნენ, შეხვედრაზე სამართალდამცავებმა არ შეუშვეს.

პრეზიდენტის შეხვედრის ორგანიზატორებს ცალკე სიები ჰქონდათ ჟურნალისტებისთვის. ამ სიაში პრესაგე.ტვ არ აღმოჩნდა. პრეზიდენტის დაცვის წევრმა ქალბატონმა აგვიხსნა, რომ შეხვედრაზე დასწრების უფლება ხათუნა მამარდაშვილისგან უნდა აგვეღო. ეს ქალბატონი დავით კირკიტაძის ყოფილი პრესმდივანია და დღეს ადგილობრივ ტელევიზიას ხელმძღვანელობს. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად მამარდაშვილი გუბერნატორის პრესმდივანი აღარაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის გაუგებარი იყო, მსგავსი ნებართვა რატომ უნდა გვეთხოვა ამ სტატუსის ადამიანისთვის, მასთან დაკავშირება მაინც ვცადეთ. ხათუნა მამარდაშვილმა ჩვენს სატელეფონო ზარს არ უპასუხა. შესაბამისად, დავრჩით იმ მოქალაქეების გარემოცვაში, რომლებიც ჩვენს მსგავსად პრეზიდენტთან შეხვედრაზე არ დაუშვეს.

„სიები, რა საჭიროა?! მეც ამ ქვეყნის ისეთივე მოქალაქე ვარ, როგორც სხვები. მხოლოდ დავარცხნილ ნაციონალებს უშვებთ შიგნით და მერე იტყვით, მიშა ხალხს შეხვდაო. გაჭირვებული ადამიანები, ვისაც მართლა პრობლემა აქვს და თავისი სათქმელი, შეხვედრისთვის არ გამოვდგებით?!" – ეკამათებოდა, რუსთაველი ნანა ზედგენიძე სამართალდამცავებს.

მოქალაქეების ყურადღებას, პრეზიდენტის მომლოდინე, სახლის რეზინის ფლოსტებით მდგარი ბავშვები იპყრობდნენ. „ერთი შვილი ახლახანს დამეღუპა. ახლა 6 შვილის მამა ვარ. ტყავის გადამამუშავებელ ქარხანაში ვმუშაობ, მაგრამ ეს ოჯახისთვის საკმარისი არ არის. სიღარიბის ზღვარს მიღმა ვართ, მთავრობისგან ყურადღება ვითხოვთ. მინდა ეს ფეხშიშველი ბავშვები პრეზიდენტმა გაიცნოს" – თავის გასაჭირს უყვებოდა პრეზიდენტის დაცვის წევრებს არჩილ ქევხიშვილი.

ბატონი არჩილი, ისევე, როგორც ბევრი სხვა რუსთაველი, რომელიც შეხვედრაზე „მიშა, მიშას" სკანდირებისთვის არ მისულა, არც პრეზიდენტის და არც მისი ერთგული ტელევიზიების ყურადღების ღირსი არ გახდა.

ასეთი მოქალაქეები სააკაშვილს ჭავჭავაძის ქუჩაზე ოთხი საათის განმავლობაში ელოდნენ, პრეზიდენტმა კი შეხვედრის ადგილი იმ გზით დატოვა, სადაც მისი დაცვის წევრებმა მოქალაქეებს დადგომის უფლება არ მისცეს, გვაუწყებს Presage.tv.

**მანონ ბოკუჩავა**

◉ SIC!

# ბერეზოვსკი პატარკაციშვილის ოჯახს 3 მილიარდ დოლარს ედავება

**ბორის ბერეზოვსკი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს სასამართლოში უჩივის. ის 3 მილიარდ დოლარზე დავობს. ბერეზოვსკი ამტკიცებს, რომ გარდაცვლილი ბიზნესმენის აქტივების ნახევარი მას ეკუთვნის გვაუწყებს Presa.ge.**

ბრიტანული გამოცემა The Times, რომელიც საქმის მასალებს გაეცნო, წერს, რომ ბერეზოვსკის



თქმით, რუსეთიდან წასვლის წინ, ოლიგარქმა თავისი აქტივების ნაწილი პატარკაციშვილს გადასცა, რათა ბიზნესი რუსეთის ხელისუფლებისგან დაეცვა. პარტნიორთან დადებული ზეპირი შეთანხმების საფუძველზე კი მომავალში, ყველა აქტივი და მოგება შუაზე უნდა გაყოფილიყო.

თუმცა, 2008 წლის თებერვლიდან, პატარკაციშვილის ოჯახმა უარი თქვა აღნიშნული შეთანხმების შესრულებაზე, იმ მიზეზით, რომ შეთანხმება არაოფიციალური იყო, არ დაფიქსირებულა ქაღალდზე და რაც მთავარია, ის არ გულისხმობდა ყველა აქტივის გაყოფას. ეს The Times-ის ინფორმაციით, ლონდონის სასამართლოს საქმეშიცაა დაფიქსირებული იმ არგუმენტთან ერთად, რომ პატარკაციშვილის ოჯახის განცხადებით, აღნიშული შეთანხმება ვერც ინგლისის სამართლის სუბიექტი ვერ გახდება.

„თუმცაღა, პატარკაციშვილის გარდაცვალებისთანავე, მისმა ოჯახმა აღიარა პარტნიორული შეთანხმების არსებობა. ეხლა ნათესავები არ ეთანხმებიან ბერეზოვსკის მოთხოვნას და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ამ აქტივების 100% მათ ეკუთვნით" – ციტირებს The Times ბერეზოვსკის ადვოკატის მარკ ჰასტინგსის სიტყვებს.

ბერეზოვსკის სარჩელი ბიზნესის საკმაოდ ფართო გეოგრაფიულ არეალს ეხება – ცენტრალური აზიიდან სამხრეთ ამერიკამდე. ბერეზოვსკი 50%-იან წილს ითხოვს სამრეწველო კომპანიებიდან, კომერციული უძრავი ქონებიდან და მედიააქტივებიდან.

პატარკაციშვილის ოჯახის წინააღმდეგ საქმე ბერეზოვსკი-აბრამოვიჩის საქმის თითქმის ანალოგიური იქნება, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილებას, ლონდონის სასამართლო, სავარაუდოდ, მარტის ბოლოს გამოაცხადებს. ბერეზოვსკი იმედოვნებს, რომ აბრამოვიჩისგან ამოიღებს 5,6 მილიარდ დოლარს, რომელიც თითქოსდა, აქტივების დაბალ ფასებში გაყიდვის გამო ე.წ. საკომპენსაციო თანხაა. საქმე ეხება „სიბნეფტის" (ამჟამად„გაზპრომ ნეფტ"ძ აქციების 42%, წილს „რუსალე"-დან და ტელეკომპანია ORT-ს (ამჟამად პირველი არხიძ აქციების 29%-ს.

გარდა იმისა, რომ „ბერეზოვსკი-აბრამოვიჩის" საქმის გარჩევისას, მოსარჩელე-მოპასუხემ სასამართლოში საჭირო პროცედურებში 100 მილიონი ფუნტი სტერლინგი დახარჯეს, მათ პროცესზე არაერთი არაფორმალური შეთანხმებისა და საწარმოების პრივატიზების პროცესში მათი შესყიდვის არასტანდარტული პირობებისა და ე.წ. „კრიშების" შესახებაც საინტერესო ინფორმაციები გაახმაურეს.

ვარაუდობენ, რომ სასამართლო პროცესი პატარკაციშვილის ოჯახთან, არანაკლებ ხმაურიანი იქნება, ვიდრე ბორის აბრამოვიჩთან საქმის გარჩევა იყო. ლონდონის უმაღლესი სასამართლო სარჩელის განხილვას მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყებს.

**თეა ინასარიძე**

◉ ინფორმაცია

# ველით გაეროს გენერალური მდივნის მოადგილეს

**26 იანვარს საქართველოს ორდღიანი ვიზიტით გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე რებეკა გრინშპანი და გაეროს განვითარების პროგრამის ევროპისა და დსთ-ს ბიუროს დირექტორი კორი უდოევიცკი ეწვევა.**

**როგორც ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ განაცხადა, ვიზიტის მთავარი მიზანია, შემუშავდეს სამომავლო პროგრამები და პროექტები და მოხდეს შეფასება არსებული პროგრამებისა, რომელიც აქამდე საქართველოში ხორციელდებოდა.**

**ნინო კალანდაძის განცხადებით, გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს 20 წელია სხვადასხვა მიმართულებით უწევს დახმარებას. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, მისი თქმით, ყურადღება გამახვილდება ჯანდაცვისა და განათლების სფეროზე, ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაეროს განვითარების პროგრამის განხორციელების პერსპექტივებს.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ სამხედრო მუქარა

# „კავკაზ 2012“ ისეთივე მანევრია, რომელიც 2008 წელს ომით დასრულდა

რუსეთი თავის სამხრეთით იმავე ტიპის სამხედრო მანევრს ჩაატარებს, რომელიც 2008 წელს საქართველოს წინაამდეგ აგვისტოს 5-დღიანი ომით დასრულდა. თუმცაღა, სამხედრო სწავლება „კავკაზ 2012“ გაცილებით მასშტაბური იქნება, ვიდრე ეს „კავკაზ 2008“ იყო.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული სამეთაურო-საშტაბო სწავლების „კავკაზ 2012“-ის ჩასატარებლად მზადება უკვე დაწყებული აქვს.

„სწავლება მასშტაბური და ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ რეალიებთან მიახლოებული იქნება“ – წერს „ნეზავისიმაია გაზეტა“, რომელიც აღნიშნავს, რომ ეს განსაკუთრებული სამხედრო მანევრი იქნება.

რა იგულისხმება ამაში? მით უმეტეს, რომ მანევრის მიზნებზე საუბრისას ხაზგასმულია, რომ ის მოიცავს საბრძოლო ამოცანების რეალურად დამუშავებას ისრაელისა და აშშ-ის მხრიდან ირანზე მოსალოდნელი თავდასხმის, „ასევე, კასპიისა და სამხრეთ კავკასიის რაიონში სხვა შესაძლო კონფლიქტების შემთხვევაში“.

საგულისხმოა, რომ მანევრები სექტემბრისთვისაა დაგეგმილი, როცა საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული. რუსეთის სტრატეგიული პრობლემების აკადემიის პრეზიდენტის, გენერალ-პოლკოვნიკ ლეონიდ ივაშოვის თქმით კი, მართალია, სწავლება სპარსეთის ყურეში არსებულ დაძაბულობას უკავშირდება, მაგრამ გამორიცხული არ არის ის დაკავშირებული იყოს „კონკრეტულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებასთან კავკასიის რეგიონში, სადაც რუსეთს გარკვეული გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს“. მისი განცხადებით, სწორედ ამ ინტერესების დასაცავად ხდება ამ სამხედრო მანევრების, სროლების ორგანიზება.

„კავკაზ 2012“-ში რუსეთთან ერთად, კიდევ ორი „სახელმწიფოს არმია“ – აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. ჯარები მიიღებენ მონაწილეობას - იტყობინებიან რუსეთის ოფიციალური წყაროები. ამასთან, სწავლება ჩატარდება არა მხოლოდ რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქის, არამედ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე. სამხედრო უწყებები არ მალავენ, რომ ეს იქნება 2012 წლის მთავარი მოვლენა სამხედრო ძალების მოღვაწეობისა.



საინტერესოა, რომ „ნეზავისიმაია გაზეტა“ არ ერიდება 2008 წლის ანალოგიურ სწავლებასთან პარალელების გავლებას და თუმცაღა წერს, რომ „კავკაზ 2012“ ისრაელი-აშშ-ირანის მიმართულებაზეა აქცენტირებული, გაცილებით მეტს საუბრობს კავკასიაზე და მკითხველს შეახსენებს, რომ:

„ანალოგიური სწავლება ჩატარდა, 2008 წლის 16 ივლისიდან 2 აგვისტომდე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრებთან და ბევრ რამეში სწორედ „კავკაზ 2008“-ს დამსახურებაა, რომ რუსეთმა მოახერხა გაემარჯვებინა საქართველოზე ერთკვირიან ომში..“

2012 წლის სექტემბრისთვის დაგეგმილი სამხედრო სწავლება იქნება არა ოპერატიულ-ტაქტიკური, არამედ სტრატეგიული, ანუ სამხრეთის სამხედრო ოლქის პასუხისმგებლობის ზონაში ამოცანა დამუშავდება არა მხოლოდ შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის მიერ (საჰაერო, საზღვაო, კოსმოსური თავდაცვის, საჰაერო-სადესანტო ჯარებიძ, არამედ მასში ჩართული იქნებიან შსს, „ფსბ“, საგანგებო სიტუაციების სამსახური, და ა.შ. ანუ ქვეყნის ყველა სამხედრო უწყება.

ამასთან, მანევრების დროს მთავარი მიზანი იქნება დაამუშაონ კოსმოსური დაზვერვისა და კავშირის საკითხები, უპილოტო აპარატები, მაღალწერტილოვანი იარაღი, მართვის ახალი ავტომატიზირებული სისტემები...

ოფიციალური წყაროები იუწყებიან, რომ სამხრეთის სამხედრო ოლქმა უკვე მიიღო მოდერნიზებული საშტაბო-სამეთაურო თითქმის 2 ათეული მანქანა, ისინი ყველა იმ მოტომსროლელთა და სატანკო ბატალიონის მართვის შემადგენლობაშია, სადაც კი დაზვერვა სისტემა ГЛОНАСС იყენებს. ამ სისტემითაა აღჭურვილი ყველა ახალი ვერტმფრენი და საბრძოლო თვითმფრინავები, რომელთა შემადგენლობაც სამხრეთ ოლქში თითქმის 100%-ითაა განახლებული. ჯარებში შეტანილია ანტისაჰაერო თავდაცვის მართვის სისტემა Барнаул-Т, რომელიც უკვე აკონტროლებს საჰაერო სივრცეს არა მხოლოდ რუსეთის თავზე, არამედ სამხრეთ კავკასიის მთელს ტერიტორიაზე.

სამხედრო სწავლება „კავკაზ 2012“-ზე საუბრისას „ნეზავისიმაია გაზეტა“ არ უარყოფს, რომ მოსკოვს არა მარტო ირანთან დაკავშირებული, არამედ სამხრეთის საზღვრებზე არსებული ვითარებაც ძალიან აღელვებს. თუმცა კონკრეტულად რა არის ამ „მღელვარების მიზეზი“ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე, სადაც ეს მანევრები უნდა ჩატარდეს, ამაზე რუსული წყაროები დუმან.

**თეა ინასარიძე**

Presa.ge

◉ პოზიცია

# ახალი მიდგომა სამართლიანი არჩევნებისადმი

**ამერიკის საელჩომ საქართველოში ამ ცოტა ხნის წინათ ქვეყანას მოუწოდა, რომ ამა წლის ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნები „მაქსიმალურად სამართლიანი კამპანიის პირობებში“ ჩაატაროს. აშშ-მ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს ამ მცდელობაში დაეხმარება. ამ განცხადებაში განსაკუთრებული არაფერია, იგი შეიძლება ისეთ ქვეყნებში გაკეთებულიყო, რომლებშიც დემოკრატიისა და თავისუფლების სხვადასხვა დონეა. მთავარი ის არის, იცის თუ არა როგორ, ან შეუძლია თუ არა აშშ-ს საქართველოსა, და სხვა მსგავს ქვეყნებში არჩევნები უფრო სამართლიანი გახადოს.**

ისიც დასაშვებია, რომ აშშ-ს სულაც არ უნდა კარგი არჩევნები საქართველოში და ასეთი განცხადება მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ აშშ-სგან ყველა ამას მოელოდა. თუმცა, ალბათ ამას ვერ ვიტყვით საქართველოზე, სადაც თავისუფალი არჩევნების ჩატარება და უფრო ძლიერი დემოკრატიის მშენებლობა აუცილებელი წინაპირობაა იმისთვის, რომ აშშ-მ თავისი ინტერესები გაატაროს. ამერიკას მიზნად საქართველოს ნატოში გაწევრება აქვს დასახული და ამ არეულ რეგიონში საქართველოს, როგორც ამერიკის სტაბილური მოკავშირის როლის განმტკიცება, ბევრად უფრო იოლი იქნება, განსაკუთრებით ევროპის თვალში, თუ ქვეყანა დაამტკიცებს, რომ იგი დემოკრატიისკენ მიიწევს.

აშშ-ს, მათ ევროპელ და სხვა დემოკრატიულ მოკავშირეებს ორი მთავარი მიდგომა აქვთ იმისთვის, რომ საქართველოს მსგავს ქვეყნებში, ანუ ქვეყნებში, სადაც არც დემოკრატიაა, არც ტოტალიტარიზმი და რომლებიც დასავლეთსაც არ ემტერებიან, საარჩევნო გარემო გამოსწორდეს.

**პირველი არჩევნების მონიტორინგია.** მეთოდები და ინსტიტუციები, რომლებიც არჩევნების მონიტორინგისთვის გამოიყენება, პროფესიონალური და დახვეწილია. მათი მეშვეობით არა მხოლოდ იმის განსაზღვრა შეიძლება, თუ რა დონეზე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩატარდა, არამედ კონკრეტული არჩევნების სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენაც შესაძლებელია. თუმცა, ამ ორგანიზაციებს მხოლოდ არჩევნების მონიტორინგის უფლება აქვთ, ხოლო ჩარევისა და გამოსწორების საშუალება — არა. მაგრამ ხშირად საერთაშორისო, თუ შიდა მონიტორინგის ჯგუფებისთვის, რომლებსაც დასავლეთის დონორები აფინანსებენ, მთავარი მიღწევა ისაა, რომ დაადგინონ, კარგად ჩატარდა არჩევნები თუ არა. ხშირ შემთხვევაში ეს ორგანიზაციები ადასტურებენ იმ სურათს, რომელიც არჩევნებამდეც კარგად იყო ცნობილი, ან დოკუმენტურად აღნუსხავენ იმას, თუ რეალურად რამდენად ცუდად ჩატარდა არჩევნები, რომელთა ცუდად ჩატარებასაც ისედაც ელოდნენ.



**მეორე მომენტი კი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფაა იმ ქვეყნისთვის, რომელიც არჩევნებს ატარებს.** მაგალითად, აშშ-ს განცხადებას საქართველოს თაობაზე ის დაპირება მოჰყვა, რომ საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ამომრჩეველთა სიის დასაზუსტებლად აშშ 1 მილიონ დოლარს დახარჯავს. მსგავსი პროექტები სხვადასხვა ქვეყნებში ტექნიკურ საკითხებზე ახდენს ფოკუსირებას, ისეთებზე, როგორიცაა მარკირების მელნით უზრუნველყოფა, გამჭვირვალე საარჩევნო ყუთების შესყიდვა ან საარჩევნო კანონის გადახედვის თაობაზე გამართული, უსასრულო დისკუსიების დაფინანსება. ამ ორი მიდგომის მინუსი ისაა, რომ ისინი ისეთი პრობლემების მოგვარებას ცდილობენ, რომლებიც ხშირად ძალიან თვალში საცემი არ არის და გარდა ამისა, ცდილობენ ტექნიკური გადაწყვეტა მოუძებნონ ისეთ პრობლემებს, რომლებიც ბევრ შემთხვევაში, ძირითადად ტექნიკური კი არა, პოლიტიკურია.

საქართველოს მგავსი ქვეყნებისთვის სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად მთავარი წინაღობა არც სუსტი ამომრჩეველთა სია და არც ხარისხიანი საარჩევნო დანადგარების უქმარისობაა, თუმცა ზოგი ქვეყნისთვის ხანდახან ესეც პრობლემაა. საქმე ისაა, რომ მთავრობები ხშირად მზად არ არიან, ისე წარმართონ არჩევნები, რომ არჩევნებში მათი დამარცხების შესაძლებლობა გაჩნდეს. შესაბამისად ტექნიკური პროლემების მოგვარებას მსგავს ქვეყნებში არჩევნების სამართლიანობაზე მხოლოდ მცირედი გავლენა თუ ექნება. მაგრამ ქვეყნები ამგვარ დახმარებას ითხოვენ, რადგან მათი დაფინანსება და რეალიზება იოლია და იშვიათად თუ შეუქმნის პრობლემებს ქვეყნის მთავრობას არჩევნების მოგებაში.

გაურკვეველია, შეუძლია თუ არა აშშ-ს არჩევნების სამართლიანობის დონეზე ზეგავლენის მოხდენა ქვეყნებში, სადაც ფესვგადგმული ნახევრად დემოკრატიული ან ნახევრად ავტორიტარული რეჟიმებია, მაგრამ აშკარაა, რომ პრობლემისადმი ამჟამინდელი მიდგომა საკმარისი აღარაა. ქვეყნების უკეთესი არჩევნებისკენ მისამართად აუცილებელი მეთოდები ახლა უკვე მხოლოდ საარჩევნო სიების დახვეწითა და სხვა მოწინავე ტექნოლოგიური ტაქტიკით ვეღარ შემოიფარგლება. შედეგებისათვის ახლა უკვე კონკრეტული პოლიტიკური ზეწოლაა საჭირო. უნდა მოინდომონ და საქვეყნოდ მოუწოდონ უცხოელ ლიდერებს სამართლიანი არჩევნების ჩატარებისკენ; უფრო ხშირად უნდა ჩაერიონ პროცესებში, თუ მთავრობა წინა საარჩევნო პერიოდში ზეწოლას ახდენს. ასეთი პოლიტიკის გატარება მოკავშირე ქვეყნებში ძალიან რთულია. მაგალითად, ნაკლებ სავარაუდოა, რომ აშშ-ს მთავრობა (ვაშინგტონში ან თბილისშიძ თავის დახმარებას საქართველოსადმი, ქვეყნისადმი, რომელსაც 1.000 სამხედრო ჰყავს გაგზავნილი ავღანეთში, სამართლიანი არჩევნების ჩატარებას დაუკავშირებს. ისიც ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამერიკის მოკავშირეების ლიდერებს საქვეყნოდ დატუქსავენ, მაგალითად, იმისთვის, რომ ოპოზიციის აქტივისტებს აპატიმრებენ, ან ოპოზიციის მხარდამჭერებს ემუქრებიან. მაგრამ თუ აშშ ამ ზომების გატარებას არ მოინდომებს, მისი შესაძლებლობები, ქვეყანაში უკეთესი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, ძალზედ შეზღუდული იქნება.

**ლინკოლნ მიტჩელი,**

„The Faster Times“

◉ ვითარება

# ...და რუსი ყველა ნაკვალევს შლის

**აფხაზეთში, ბედიის ტაძარში ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ მესამის ერთადერთი ფრესკა განადგურებულია. გაურკვეველი წარმომავლობის არქიტექტორები ტაძარში კედელს აძლიერებდნენ, რასაც ბაგრატ მესამის ერთადერთი გამოსახულების განადგურება მოჰყვა. „ფაქტია, რომ ვანდალიზმთან გვაქვს საქმე, ამიტომაც მსოფლიო საზოგადოება ამ ინფორმაციებით უნდა „დაიბომბოს“, — ასეთია ქართველი სპეციალისტების პოზიცია, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაცული მოძრავი ძეგლების სიის შედგენასა და ამ მონაცემების ინტერპოლისთვის გადაცემას აპირებენ, რათა ამით მათი საზღვრებს გარეთ გატანა აიცილონ.**

დე ფაქტო ტერიტორიაზე გაურკვეველი „რესტავრატორებისა“ და ე.წ. შავი არქეოლოგების ბუმია. ქართველ მეცნიერთა ნაწილი ეჭვობს, რომ ძირძველი აფხაზების ინტერესში მეფე ბაგრატის ფრესკის განადგურება არ უნდა იყოს და, რომ ამ ყველაფრის მიღმა რუსეთი დგას. ამ ეჭვს ისიც ამყარებს, რომ ნამდვილ აფხაზს აფხაზეთში არავინ არაფერს ეკითხება, ბედიის ტაძარში სარემონტო სამუშაოებს კი ვლადიმირის რუსული კერძო კომპანია ატარებს.

მეცნიერებში კითხვებს ისიც ამძაფრებს, რომ ბაგრატ მესამის ფრესკამ საუკუნეებს გაუძლო, რუსული ოკუპაციის შემდეგ კი, სულ ახლახან, განადგურდა. ახლა გადასარჩენია მეფე ბაგრატის საფლავი, ამიტომაც ქართველი სპეციალისტების შესვლამდე, იუნესკოს წარმომადგენლებს მაინც არ უნდა ეზღუდებოდეთ აფხაზეთში შესვლა.

არც სხვა ტაძრებშია უკეთესი მდგომარეობა. ილორის ტაძარს რუსული ფორმის ხახვისებური გუმბათი დაადგეს, რაც რუსული ქრისტიანული არქიტექტურული სტილის ნაწილია და ქართულ გუმბათთან საერთო არაფერი აქვს, ქართული წარწერები და ფრესკები კი თეთრად გადალებეს.

სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ პაპასქირი Presage.tv-სთან საუბარში ბედიის ტაძართან დაკავშირებით ერთ ისტორიას იხსენებს. რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარების ერთი წლისთავზე, აგვისტოში, ბედიის ტაძარში მკრეხელური რამ მოხდა. კერძოდ, აფხაზებმა იარაღის დალოცვის ცერემონიალი ჩაატარეს.

**„მამა ბესარიონ აპლიამ, რომელიც თვიმარქვიაა და დამოუკიდებელი აფხაზეთის ეკლესიის მეთაურად აცხადებს თავს, აფხაზური იარაღის დალოცვის ცერემონიალი შეასრულა. ბესარიონ აპლიამ ამ ტაძარში ჯერ სალოცავად წაიყვანა ხალხი, მოლოცვა ჩაატარა, შემდეგ კი ის იარაღი დალოცა, რომლითაც აფხაზები ეომებოდნენ ერთიან საქართველოს. ეს იყო მკრეხელური ნაბიჯი, რადგან ბედიის ტაძარში ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატის საფლავზე დალოცეს ეს იარაღი“,** — აცხადებს ზურაბ პაპასქირი.

ისტორიკოსს ეს კადრები „აბაზა.ტვ“-ს საშუალებით თავად აქვს ნანახი, რაც მოგვიანებით აფხაზური საიტიდან გაქრა. მართალია, ამ კადრების ნახვისას ზურაბ პაპასქირს ბედიის ტაძარში არავითარი ფრესკა არ შეუმჩნევია, მაგრამ დავით აღმაშენებლის მცირე ზომის ხატი შენიშნა, რომელსაც აფხაზები ისე უნთებდნენ სანთელს, რომ ალბათ თვითონაც არ იცოდნენ, დავით აღმაშენებლის ხატი რომ იყო.

**„ამ კადრების ნახვისას ორმაგი გრძნობა დამეუფლა. ბედიის ტაძარში მოსალოცად მისვლა კარგია, მაგრამ იმ იარაღის დალოცვამ, რომლითაც თითქოს სამამულო ომს ეწეოდნენ ქართველების წინააღმდეგ, შემზარა“** — ამბობს პაპასქირი.

მეცნიერი მიიჩნევს, რომ ბაგრატ მესამე, რომელიც აფხაზთა მეფის ასულის შვილი იყო, ჩვეულებრივი ქართველი მონარქი გახლდათ. ე.წ. აფხაზური დინასტია და მათი წარმომადგენელი აფხაზი მეფეები, ფაქტობრივად, სახელმწიფოებრივად და კულტურულ-პოლიტიკურად ქართულ დინასტიას განეკუთვნებოდნენ. ისინი მხოლოდ ეთნიკურ-ტომობრივი წარმომავლობით შეიძლება ყოფილიყვნენ აფხაზები.

**„ბაგრატი თავდაპირველად იყო დასავლეთ საქართველოს მეფე. აფხაზობა არის ტომობრიობა. მათი მეფეები იყვნენ ჩვეულებრივი ქართველი პოლიტიკური ლიდერები. საინტერესოა, ბედიისადმი თავად აფხაზების დამოკიდებულება. ბედია, დრანდა, მოქვი,— ყველაფერი მოშალეს ახალმა აფხაზებმა. დღეს რომ იჩემებენ, ქრისტიანი ერი ვიყავითო, სინამდვილეში, მე-16-17-18 საუკუნეებში ჯიქ-აფხაზ მთიელთა ბარბაროსულმა ტალღამ აფხაზეთის ქრისტიანული ცივილიზაცია მთლიანად მოშალა. ეს მთისა და ბარის ბრძოლა უფრო იყო, ვიდრე — ეთნიკური ბრძოლა. ჩამოსახლებულ ჯიქ-აფხაზთა ახალი ტალღისთვის უცხო იყო ადგილობრივი აფხაზების ცივილიზაცია, რომელიც აფხაზებმა (იმავე ისტორიულ-კულტურულმა ქართველებმა) თავიანთ ქართველ თანამოძმეებთან ერთად შექმნეს (ნიკო ბერძენიშვილი). არც ერთი ცნობა არ მოგვეპოვება, რომ ოდესმე თურქი მოსულიყო და ბედია გადაეწვა ან გაენადგურებინა, მაშინ, როცა ბედია, მოქვი, დრანდა,— მთლიანად გაანადგურეს ახალმა აფხაზებმა. მხოლოდ ილორი გადარჩა, რაც ცოტა გასაკვირიც კია. შემორჩენილი ქრისტიანი აფხაზებისთვის ილორი მთავარ სალოცავად იქცა. სხვათა შორის, მეც მიკვირს, როგორ გადარჩა ილორი, ალბათ იმიტომ, რომ ის არ იყო ეპარქიის ცენტრი, როგორც მოქვი, ბედია და დრანდა“,** — მიიჩნევს ზურაბ პაპასქირი.



ბედიის ტაძარში ბაგრატ მესამის ფრესკა, სავარაუდოდ, რუსებმა გაანადგურეს

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლია ახალაძე აცხადებს, რომ ბედიის ტაძარში ბაგრატ მესამის ფრესკა უკვე აღარ არსებობს, ადგილობრივები კი თავს იმართლებენ, თითქოს სარესტავრაციო სამუშაოების დროს ფრესკა ჩამოიშალა, რაც არადამაჯერებელია.

**„ამ ფრესკამ ათი საუკუნის მანძილზე გაძლო და თან ისეთ ადგილზე არ მდებარეობდა, რომ სარესტავრაციო სამუშაოების დროს ჩამოშლილიყო. აშკარაა, იგი სპეციალურადაა ჩამოფხეკილი. ბაგრატ მესამე გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, ცოტა უხერხულიც კია თავად აფხაზებისა და რუსებისთვის, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის საფლავი ოკუპირებულია და ამ ტერიტორიაზე პრეტენზია აქვს უცხო სახელმწიფოს. შესაბამისად, ეს კვალი უნდა წაეშალათ და წაშალეს კიდეც. თუმცა ბაგრატ მეფის საფლავი იქ არის. რამდენადაც ვიცით, „მატიანე ქართლისაის“ ცნობის თანახმად, ბაგრატ მესამე დასაფლავებულია მის მიერვე აგებულ ბედიის ტაძარში“,** — აღნიშნა ლია ახალაძემ Presage.tv-სთან საუბრისას.

მეცნიერი მიიჩნევს, რომ აფხაზეთში ქართული კვალის გადარჩენის მიზნით ქართულ მხარეს აქტიურობა და ყველა მიმართულებით მუშაობა მართებს. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობასთან არის დაკავშირებული, ხმა უნდა მივაწვდინოთ.

**„სხვა გამოსავალი არ გვაქვს. რეალურად, დე ფაქტო ხელისუფლებაში შეიძლება იყვნენ ისეთი აფხაზები, რომლებსაც, შეიძლება, გულიც კი შესტკიოდეთ ამაზე, მაგრამ ვერაფერს იტყვიან, რადგან ეს ტერიტორია ოკუპირებულია და იქ რეალურად სამხედრო რეჟიმია. ლეონიდ ლაკერბაიამ, აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერმა, განაცხადა, რომ თანახმაა, აფხაზეთში შეუშვან იუნესკოს ექსპერტები, მაგრამ არა— ქართველები. სინამდვილეში, კარგა ხანია, იუნესკოს ვთხოვეთ დახმარება, თუმცა აფხაზები არ უშვებდნენ უცხოელ სპეციალისტებს. თავის მხრივ, იუნესკოსაც ეშინია აფხაზეთში შესვლის. მოგეხსენებათ, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის რუსეთის მიერ სამხედრო რეჟიმის დამყარების შემდეგ პრაქტიკულად ეს დახურული ზონაა“,** — გვითხრა ლია ახალაძემ.

მისი ინფორმაციით, აფხაზეთში სხვა ძეგლების მდგომარეობაც ძალიან მძიმეა, რადგან უკანონო არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს. რა მეთოდით თხრიან ჩვენს ძეგლებს, არავინ იცის. გასაოცარია ისიც, რომ ამ გათხრების დროს თავად აფხაზი არქეოლოგებიც არ არიან ჩართულნი. ამ საქმეს ღიად კურირებს რუსეთი, რომელიც ყოველგვარ ქართულ კვალს შლის.

ამასთან, ლია ახალაძე არ გამორიცხავს, რომ ბედიის ტაძარში ბაგრატ მესამის ფრესკის გადაშლაც რუსულ კვალს უკავშირდებოდეს და არა — აფხაზურს.

**„ბედიის ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოებს ვლადიმირის ერთ-ერთი კერძო კომპანია ატარებს. ასე რომ, რესტავრაციას აფხაზები ატარებენ-მეთქი, ვერ ვიტყვით, რადგან ვლადიმირის კომპანია რუსულია. ის, თუ როგორ აპირებენ ამ ტაძრის „რესტავრაციას“, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. სხვათა შორის, ბაგრატის დედა იყო აფხაზთა მეფის, გიორგი მეორის ქალიშვილი, მამით კი ტაო-კლარჯეთელი ბაგრატიონი გახლდათ. გიორგი მეორე გახლავთ მეფე, რომელიც ცდილობდა კახეთის შემოერთებას, მას ქართლი უკვე ეჭირა, ანუ საქართველოს ერთ-ერთი გამაერთიანებელი მეფე გახლდათ.**

**საერთოდ, საქართველოს გაერთიანების იდეა აფხაზთა სამეფოდან წამოვიდა, იოანე მარუშისძეს, რომელიც აფხაზთა მეფის ერისთავი იყო ქართლში, სწორედ ბაგრატ მესამე ბაგრატიონის სკიპტრის ქვეშ დაებადა საქართველოს გაერთიანების იდეა. კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ძველი აფხაზები ქართველები არიან. ხოლო თანამედროვე აფხაზები, ვერ გეტყვით, ვინ არიან. წესით, ბედიის ტაძარში ბაგრატ მესამის ფრესკის განადგურება აფხაზებს არ უნდა აწყობდეთ, რადგან ეს მათი კულტურული მეხსიერების წაშლაა, სხვა კულტურა მათ არ გააჩნიათ. თუ ისინი მოწყდებიან ამ კულტურას, უკულტურონი გამოვლენ“,** — აღნიშნავს ისტორიკოსი.

**მანანა ნოზაძე**

◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

### მიშა – იანუსი

როგორც თემურ შაშიაშვილი თავის დოქტრინაში წერს, დღევანდელ მსოფლიოში ამერიკის ხელისუფალთა სალანძღავად გამოიგონეს უგო ჩავესი, ხოლო რუსეთის ხელისუფალთა სალანძღავად — მიხეილ სააკაშვილი.

**„ასავალ-დასავალი“.**

### რას პასუხობს ბრალდებებზე ირაკლი ალასანია?

„ჩემთვის დღემდე გაურკვეველია, თუ რას სთავაზობს ბურჯანაძის პოლიტიკური ძალა საზოგადოებას? მხოლოდ ერთმანეთის კრიტიკისთვის არიან მზად, ამ მარათონში

გუშინდელი გაზეთებიდან

არ ჩავებმები. ბურჯანაძე, კუკავა და ასე შემდეგ — ეს ძალები ჩვენ ძალებთან ასოცირებული არ არიან“, — ამბობს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი.

**„ქრონიკა“.**

### „ნაცმოძრაობამ“ საკუთარი მხარდამჭერების ხელახალი აღრიცხვა დაიწყო

„მთელი კვირის“ ინფორმაციით, ეს პროცესი თბილისში უკვე აქტიურად მიმდინარეობს. ქალაქის სხვადასხვა უბანში „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები იმ მოქალაქეთა საპასპორტო მონაცემებს აგროვებენ, რომლებიც მზად არიან მომავალ არჩევნებში მმართველ პარტიას მისცენ ხმა.

**„მთელი კვირა“.**

### „№1 საპატიმრო“, ანუ არასაპატიო ადგილი ევროპაში!

საქართველო პატიმართა რაოდენობით ევროპაში პირველ, ხოლო მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა 216 ქვეყანას შორის. ბუნებრივია, დამნაშავე ციხეში უნდა იჯდეს, მაგრამ საქართველოს საპყრობილეებში უდანაშაულო ან მსუბუქი დანაშაულის ჩამდენი პირები იხდიან არაადეკვატურ სასჯელს.

**„კვირის პალიტრა“.**

თქმა მართლისა...

*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2011 წლის 22 და 24 დეკემბრის ნომრებში დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალისტური გამოძიების ამსახველი ორი წერილი, რომლებშიც დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ვაჩვენეთ, ქვეყნისთვის თუ რაოდენ საზიანო და საზარალო იყო შპს „ჟინერის“ 10-წლიანი საიჯარო საქმიანობა ჟინვალჰესზე.*

*ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“ მადლობას უხდის საზოგადოების წარმომადგენლებს, სპეციალისტებს, ექსპერტებს, რომლებმაც ხელი შეგვიწყვეს გამოძიების ჩატარებაში და გამოხატეს თავიანთი პრინციპული პოზიცია. კერძოდ, იურისტს, პროფესორს რამაზ დონჯაშვილს, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტს რევაზ არველაძეს, ჰიდროენერგოსადგურების პროექტირების ღვაწლმოსილ სპეციალისტს ანზორ ჭითანავას, ლეიბორისტული პარტიის გენერალურ მდივანს იოსებ შატბერაშვილს, თბილისის საკრებულოს წევრს სევდია უგრეხელიძეს, ბუღალტერ-ექსპერტებს ომარ კაშიას და ჯემალ ფილაურს, ადვოკატ ვიქტორ ყიფიანს, უშიშროების პოლკოვნიკს იაკობ ხარაიშვილს, იუსტიციის სამინისტროს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არქივების მუშაკებს.*

# 3. დაუდევრობა-დოყლაპიობა თუ გამიზნული ბოროტმოქმედება?

## რატომ, რანაირად, ვისი ბედოვლათობითა თუ ანგარებიანი უპასუხისმგებლობით აზარალა ათობით მილიონი ლარით სახელმწიფოს ბიუჯეტი შპს „ქინერმა?“

საზოგადოების კიდევ მრავალი წარმომადგენელი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ გამოგვეხმაურა და დადებითად შეაფასა პუბლიკაციები, რაც დაგვეხმარა ახალი ფაქტების მოპოვებასა და ახალი გარემოებების გამოვლენაში, რომელთა ანალიზმა მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა. კერძოდ ის, თუ რა მიზანს ისახავდა მაშინდელი პოლიტიკური ხელისუფლება ჟინვალჰესის კომპლექსის მიმართ, მარტო „მეწველი ძროხის“ როლს ანიჭებდა მას, თუ სურდა, რომ კომპლექსზე შექმნილი რთული მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავებით იმავდროულად მისი გასხვისების აუცილებლობის ხელსაყრელი წინაპირობები შექმნილიყო?

არსებული და ჩვენს მიერ მოპოვებული ფაქტების საფუძველზე უდავოა, რომ – ერთსაც და მეორესაც. მკითხველს შევახსენებთ, რომ შპს „ჟინერისთვის“ ჟინვალჰესის იჯარით გადაცემა მოტივირებული იყო ამ კერძო სტრუქტურის მიერ მოსახლეობის სასმელი და სარწყავი წყლით შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველყოფის აუცილებლობით, რისთვისაც უწინარესად, სადერივაციო გვირაბი სრულად უნდა აღდგენილიყო.

ეს ამოცანა იმთავითვე განწირული იყო შეუსრულებლობისთვის, რადგან შპს „ჟინერს“ საამისოდ სახსრები არ ჰქონდა, ლოგიკურად მომწიფდა სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად ახალი ინვესტორის მოძიების საკითხი. ასე გამოჩნდა ასპარეზზე დღესაც უცნობი ინვესტორი შპს „ჟინვალჰესის განვითარების ჯგუფი“.

ამ ჯგუფთან ქ.თბილისის მერიამ გააფორმა ხელშეკრულება, მაგრამ რაკი მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები დათქმულ ვადაში არ შეასრულა, ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავისი განკარგულებით მოითხოვა აღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტა.

აღნიშნულმა „ჯგუფმა“ წელს ქ.თბილისის მერიასთან წამოიწყო სასამართლო დავა მსოფლიო ბანკთან არსებულ ვაშინგტონში მდებარე საინვესტიციო დავების განხილვის საერთაშორისო ცენტრში. იგი ითხოვდა 26 მილიონი აშშ დოლარის ანაზღაურებას. მოთხოვნის ძირითად მტკიცებულებად კი მიუთითებდა იმ გარემოებას, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირებისთვის მნიშვნელოვანი ხარჯები ჰქონდათ გაწეული.

სინამდვილეში კი სარეაბილიტაციო სამუშაოები დააპროექტა და ხარჯთაღრიცხვა გაიანგარიშა შპს „ჰიდროპროექტმა“ და ისიც მხოლოდ შპს „ჟინერის“ დაკვეთით, რაშიც ამ უკანასკნელმა 150 ათასი ლარი გადაიხადა.

**მაგრამ შპს „ჟინერის“ მესვეურებმა თ.ჭიჭინაძემ, ა.კობაიძემ და ა.დუნდუამ ქ.თბილისის მერიას ხსენებული საპროექტო დოკუმენტაცია არ წარუდგინეს იმ მოტივით, რომ მათ მისი სრული პაკეტი რატომღაც თურმე არ ჰქონდათ.** „ჟინერის“ ამგვარმა ქმედებამ ხელი შეუწყო შპს „ჟინვალის განვითარების ჯგუფს“ დავის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად „ცენტრში“ წარედგინა გაყალბებული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც თითქოსდა საპროექტო სამუშაოებზე ხარჯები მას ჰქონდა გაწეული.

**და მხოლოდ შპს „ჰიდროპროექტის“ ხელმძღვანელების მიერ თბილისის მერიისთვის წარდგენილმა საპროექტო დოკუმენტაციამ მისცა ქართულ მხარეს იმის საშუალება, რომ „ცენტრში“ დაემტკიცებინა „ჯგუფის“ მიერ წარდგენილი დოკუმენტების სიყალბე და, აქედან გამომდინარე, მისი სარჩელის უსაფუძვლობა.**

ქართულ მხარეს, საქმის წაგების შემთხვევაში, გადასახდელი ექნებოდა 26 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჟინვალჰესის საბალანსო ღირებულება 1994 წლიდან უკვე ხელოვნურად იყო შემცირებული 18,2 მილიონ ლარამდე, თავისთავად შეიქმნებოდა იმის საფუძველი, რომ დასმულიყო საკითხი ამ ჰესის შპს „ჟინვალის განვითარების ჯგუფისთვის“ რაიმე ფორმით გადაცემის თაობაზე.

მრავლისმეტყველია ისიც, რომ თბილისის მერიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ (მერი – ივანე ზოდელავა, პრემიერი – გიორგი შერაძეძ ზემოხსენებული ე.წ. ინვესტორების მიერ საპროექტო ხარჯების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაყალბების ფაქტი კანონიერი რეაგირების გარეშე დატოვა ისევე, როგორც შპს „ჟინერის“ მესვეურთა როლი ამ საქმეში. და ეს მაშინ, როდესაც თ.ჭიჭინაძე, ა.კობაიძე და ე.დუნდუა აქტიურად უჭერდნენ მხარს მითითებულ „ინვესტორს“. **ეს კი, ერთი მხრივ, აშკარად ეწინააღმდეგებოდა მათსავე ინტერესს, რადგან დაკარგავდნენ თავიანთ შემოსავლების წყაროს – ჟინვალჰესს, მეორე მხრივ, კი ეს პირდაპირ ადასტურებს იმას, რომ შპს „ჟინერი“ და შპს „ჟინვალჰესის განვითარების ჯგუფი“ ერთ საერთო მიზანს ისახავდნენ – დაპატრონებოდნენ ჟინვალჰესს.** ამას კი საფუძვლად 1994 წელს ჩაეყარა, ჰესის საბალანსო ღირებულების შემცირებული მაჩვენებლით, რაც ე.წ. „ჯგუფს“ – ინვესტორს – უადვილებდა ხსენებულ „ცენტრში“ დავის მოგების შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქისთვის სასიცოცხლო-სტრატეგიული დანიშნულების ჰიდროენერგოკომპლექსის ხელში ჩაგდებას. აქედან გამომდინარე, საზოგადოებისთვის სადავო არ უნდა იყოს ის, რომ შპს „ჟინერის“ მესვეურების და მათი, ხელისუფლებაში მყოფი მაღალი რანგის მფარველების საქმიანობა წარმართული იყო უცხო ქვეყნის იურიდიულ პირთა სასარგებლოდ და ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების საზიანოდ.

**ამიტომაც იყო, რომ საქართველოს ენერგოსისტემის გაჯანსაღების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი დახმარება ენერგოსისტემაში მოკალათებული კრიმინალური ჯგუფების გამიზნული ქმედებებით უპერსპექტივო ხდებოდა.** ამის თვალსაჩინო მაგალითია სს „იბერია პრაიმ კაპიტალის“ დანაშაულებრივი საქმიანობა, რომლის ხელმძღვანელი მირიან ცხვარაძე რუსეთის სამხედრო დაჯგუფებიდან საქართველოს ენერგოობიექტებისთვის განკუთვნილ მილიონებს 1997-2003 წლებში იტაცებდა და ანაწილებდა ამ ე.წ. დაჯგუფების წარმომადგენლებსა და საქართველოს ე.წ. „ენერგომამებს“ შორის. ეს ფაქტი სასამართლო ორგანოების 2005-2006 წლების სასამართლო განაჩენებით არის დადასტურებული.

**გელა ჭონიაშვილი, შპს „ორლანდო ჰოლდინგ კორპორაციის“ ყოფილი დირექტორი, მითითებული კრიმინალური ჯგუფების საქმიანობის მსხვერპლია. აი, რას ამბობს იგი:**

> **„გამოძიება და სასამართლო საერთოდ არ დაინტერესდნენ, დაედგინათ რუსეთის დაჯგუფების წარმომადგენლის, ვინმე „საშას“ პიროვნება, არც ერთ დაკითხვის ოქმში არ დასმულა კითხვა ამ მიმართულებით. არადა, ვიცოდი მისი გარეგნული აღწერილობა და საცხოვრებელი ადგილი...**
>
> **მირიან ცხვარაძე დაკავშირებული იყო შპს „ჟინერის“ მესვეურებთან, რომლებიც მათთვის თანხების გადაცემის დამადასტურებელ ბუღალტრულ დოკუმენტებს არ იძლეოდნენ იმ მოტივით, რომ მათი ანგარიშები დაყადაღებული იყო. სწორედ მირიან ცხვარაძის მეშვეობით ჩაერია საქმის მოგვარებაში საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ავთანდილ საყვარელიძე, რომლის გავლენით თეიმურაზ ჭიჭინაძემ, ამ უკანასკნელის სიტყვიერი მითითებით კი შპს „ჟინერის“ გენერალურმა დირექტორმა, მოაწერა ხელი ფულის მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს. მხოლოდ ამის შემდეგ, ისევ თეიმურაზ ჭიჭინაძის მითითებით, გადავეცი ფული ალექსანდრე კობაიძეს.**
>
> **დამნაშავენი დაზარალებულად არიან გამოყვანილები და რუსეთის სამხედრო დაჯგუფებას და შპს „ჟინერს“ უნდა გადავუხადო 2,5 მილიონი ლარი. ამ მიზნით საგადასახადო და სააღსრულებო ორგანოებმა, ვინაიდან მე უქონელი ვარ, ჩემი ვაჟიშვილის ქონება დააყადაღეს. ეს კი მაშინ განხორციელდა, როდესაც შპს „ჟინერის“ ყოფილ მესვეურთათვის ცნობილი გახდა ჩემი თანამშრომლობა ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცესთან“.**

საზოგადოებისთვის უცნობია, რა სახის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დატვირთვა ჰქონდა საქართველოში ფილიპინების სახელმწიფოს საკონსულოს გახსნას და ორ ქვეყანას შორის ამ მიმართულებებით ურთიერთობების განვითარება-გაღრმავებას შეუწყო თუ არა ხელი საკონსულოს ხელმძღვანელად ბატონ თეიმურაზ ჭიჭინაძის მოვლინებამ. ჩვენი ინფორმაციით, ამ ცხრა წლის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა, რამე რომ არ ვთქვათ ინვესტიციების მოზიდვასა და ტურიზმის განვითარებაზე.

ბატონი თეიმურაზი წლების განმავლობაში იყო ორი მოქმედი ჰესის (ჟინვალჰესი და ორთაჭალჰესიძ მოიჯარე სტრუქტურების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის მერიის პასუხისმგებელი მუშაკი და საკრებულოს დეპუტატი, მნიშვნელოვანი უძრავი ქონების მესაკუთრე, მაგრამ მისი ფინანსური სახსრები, მათ შორის, შპს „ჟინერში“ დატაცებულიც, მიმართული იყო პირადი და იმ დროის ხელისუფლებაში მყოფი მოქალაქეთა კავშირის ბელადთა გამდიდრებისთვის.

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, იცოდეს საქართველოში მცხოვრები რომელი მოღვაწეების რეკომენდაციების საფუძველზე მიენიჭა მას საპატიო კონსულის სტატუსი და შემდეგ – გენერალური კონსულის წოდება. რაც მთავარია, კომპეტენტურმა უწყებებმა საზოგადოებას უნდა განუმარტონ, რატომ მიანიჭეს დიპლომატიური სტატუსი შელახული რეპუტაციის მქონე პიროვნებას, რომლის „მოღვაწეობა“ კარგად იყო ცნობილი როგორც ვარდების რევოლუციამდელი თანამდებობის პირთათვის, ისე მოქალაქეთა კავშირის წიაღიდან აღმოცენებულ ამ რევოლუციის შემოქმედთათვისაც.

**ჩვენ კი შევეცადეთ, საზოგადოება დაგვერწმუნებინა იმაში, რომ ბატონი ჭიჭინაძისთვის დიპლომატიური იმუნიტეტის მინიჭება მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა – შექმნილიყო მისი მხილებისა და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების დამაბრკოლებელი გარემოება.**

გვსურს, საზოგადოებას მივანდოთ მსაჯულის როლი, რადგან დღევანდელი ხელისუფლების ორგანოები მხოლოდ მათი მხარდაჭერებისა და მოწინააღმდეგეების შერჩევის პრინციპით ახორციელებენ მართლმსაჯულებას.

**საზოგადოებას გვინდა შევახსენოთ, რომ „დილის გაზეთის“ 2001 წლის 4 მარტის № 55 ნომერში „საქინფორმის“ ჟურნალისტების ამირან მგელაძის (აწ გარდაცვლილი) და თენგიზ ჩხიკვაძის სტატიაში „ტროას ცხენები საქართველოში“ წინასწარ არის განჭვრეტილი შპს „ჟინერის“ თვალთმაქცური როლი – ჟინვალჰესის კომპლექსი როგორმე ხელში ჩაეგდებინებინა უცხო ქვეყნის ე.წ. ინვესტორებისთვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდნენ შპს „ჟინვალის განვითარების ჯგუფი“ და შპს „ჟინერი“.**

უდავოა, რომ 2003 წელს საქართველოში განხორციელდა პოლიტიკური ხელისუფლების შიგნით ძალთა გადანაწილება და არა ე.წ. „ვარდების რევოლუცია“, რასაც აშკარად მიანიშნებს ჩვენს მიერ გამოკვლეული ფაქტიც – „ჟინვალჰესი“ და „თბილწყალკანალი“ გახდა უცხო ქვეყნის საკუთრება, ანუ შევარდნაძის მიერ დაწყებული საქართველოს სტრატეგიული ობიექტების, კერძოდ, ენერგეტიკის უცხოელებზე გასხვისება მ.სააკაშვილის ხელისუფლებამ დაასრულა.

სწორედ რომ, ნიშანდობლივია ზემოხსენებული სტატიის დასკვნითი ნაწილი: **„... რა თქმა უნდა, შეიძლება საკუთარი თავის მოტყუება და დამშვიდება იმით, რომ ეს მოხდება ამ 20-25-30-40 წლის შემდეგ, როცა ამოიწურება უცხოური ფირმების საიჯარო ვადა, როცა მილიარდიან კრედიტებს გავისტუმრებთ ან იქნებ ჩამოგვაწერენ, ხოლო ეროვნული კადრები თავიანთ ხელში აიღებენ საქმის სადავეებს, მაგრამ ეს უფრო იმას ჰგავს, ადამიანმა სცადოს, ორი ნახტომით უფსკრულს გადავლება. ადგილობრივი კადრები, რომლებიც მუდამ თაობიდან თაობამდე მეორე ან მესამეხარისხოვან როლებს ასრულებენ, უთუოდ განიცდიან დეგრადაციას. შესაძლოა ისინი გახდნენ კარგი შემსრულებლები, მაგრამ საკუთარ ქვეყანაში კარგი, დამოუკიდებელი განმკარგულებლები და ბატონ-პატრონები ვერასდროს გახდებიან. მაშასადამე, ისევ ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივებაა საჭირო? მხიარულ პერსპექტივას ამას ვერ ვუწოდებთ, საერთოდ პერსპექტივაზე თუ ვიფიქრებთ, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ არ ვიფიქრებთ“.**

ჩვენი სააგენტოს ჟურნალისტური გამოძიების მასალების მიზანია, თავისი წვლილი შეიტანოს ქართული საზოგადოების გამოფხიზლებაში, იმ საზოგადოებისა, რომელმაც გადაჭრით თქვა უარი გადატრიალებების და ე.წ. რევოლუციების მხარდაჭერაზე და სურს, სამართლიანი და ობიექტური არჩევნები გახდეს საქართველოს განვითარების საწინდარი, სადაც დამკვიდრებული იქნება დამოუკიდებელი და სამართლიანი მართლმსაჯულება, რომლის პირობებში უზრუნველყოფილია ადამიანების დაცვა, დამნაშავეთა მხილება და მათთვის საკადრისი სასჯელი.

**ჟინვალჰესის კომპლექსის გასხვისების კანონიერების საკითხის შესწავლა გაგრძელდება, ხოლო გამოქვეყნებული პუბლიკაციის გარშემო განვითარებული მოვლენების თაობაზე საზოგადოებას პრესის საშუალებით ინფორმაციას მივაწვდით.**

**ვაჟა კელეურიძე,**
**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო
„დრო და სივრცე“

*P. S. ჩვენი ჟურნალისტური გამოძიების 2011 წლის 22 და 24 დეკემბრის პუბლიკაციები, რომლებიც უშუალოდ შპს „ჟინერის“ მესვეურთა სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ქმედებებს ეხებოდა, დაიბლოკა ინტერნეტსაიტებზე „გუგლ.ჯი „თენგიზ ჩხიკვაძე“ და „ოპენ.ჯი“ „საქართველოს რესპუბლიკა“. აღნიშნულ ფაქტზე ჩვენი სააგენტოს რეაქცია, ვიმედოვნებთ, დადებით შედეგს გამოიღებს და ინტერნეტმომხმარებელს მალე მიეცემა ჩვენი პუბლიკაციების გაცნობის საშუალება.*

*ვ. კ., თ. ჩ.*

**საერთაშორისო გეოპოლიტიკურმა ანალიტიკურმა ცენტრმა — „STRATFOR“ გამოაქვეყნა 2012 წლის დასკვნითი საპროგნოზო ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ წელს მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ვლადიმირ პუტინის მიერ ინიცირებული ევრაზიული კავშირის ირგვლივ განვითარებული მოვლენები იქნება. ანალიტიკური ცენტრი ვარაუდობს, რომ კავშირი ეკონომიკურ სივრცეებს 2015 წლისთვის გასცდება და სამხედრო-პოლიტიკურ ფუნქციებსაც შეითავსებს. რუსულ პოლიტიკურ წრეებში ევრაზიული კავშირის წევრებად ბელარუსი, რუსეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი არიან მოხსენიებულები, ხოლო უკრაინა, სომხეთი და მოლდოვა გაერთიანების სავარაუდო შემადგენლებად განიხილებიან. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ერთ-ერთი ვერსიით პირველად ანდრეი სახაროვის მიერ ინიცირებულ, ევრაზიულ კავშირს რამდენჯერმე უკვე უწოდა მოდერნიზებული საბჭოთა კავშირის შექმნის მცდელობა. რა საფრთხეები შეიძლება დაემუქროს საქართველოს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ლიდერობის პირობებში ევრაზიული კავშირი საბოლოოდ ჩამოყალიბდება? — ამ კითხვით „მედიანიუსმა“ პოლიტოლოგ ბესიკ ობოლაძეს მიმართა.**





# ოკუპირებული რეგიონების ევრაზიულ კავშირში გაწევრების შესაძლებლობა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საფრთხეა

— საქართველოსთან მიმართებაში პრობლემები იქნება გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ, გეოსტრატეგიულ, უსაფრთხოების და სხვა განზომილებებში. თითოეულ მათგანს მოკლედ შევეხები: შავი ზღვა-კასპიის ზღვა და ცენტრალური აზიის ქვეყნები გეოგრაფიულად გლობალური არასტაბილურობის ცენტრალურ ზონაზეა განფენილი. ბოლო პერიოდში ამ რეგიონმა ისტორიულად არსებული აზია-ევროპის დამაკავშირებელი არეალის სტატუსი დაიბრუნა და საერთო ტრანსევრაზიულ სივრცედ გარდაიქმნა. ევრაზიული კავშირის შექმნა ამ სივრცეს არღვევს, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს გეოეკონომიკურ ფუნქციას და ტრანსკომუნიკაციური ხიდის როლს, შესაბამისად, გარდაიქმნება „დახურულ“ სივრცედ, რაც პირდაპირ აისახება საქართველოს, როგორც ამ სივრცის ერთ-ერთი რგოლის პერსპექტივებზე. შავი ზღვა-კასპიის ზღვა და ცენტრალური აზიის რეგიონს კონფლიქტოგენურობის მაღალი ხარისხისა და ე.წ. ძალის ვაკუუმის ფაქტორის გამო ხშირად „ევრაზიულ ბალკანეთსაც“ უწოდებენ. მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის ყველა ევრაზიული გლობალური საკომუნიკაციო კვანძი და ენერგორესურსები უკავია. ამ ტრანსევრაზიულ სივრცეში გლობალური, გეოპოლიტიკური და რეგიონული აქტორების მხრიდან ზოგადად რეგიონის, კონკრეტული ქვეყნებისა და რეგიონული კონფლიქტების მიმართ მრავალსაფეხურიანი სტატუს-კვო ჩამოყალიბდა. ასევე, მოხდა გლობალურ ენერგოპროექტებთან, რეგიონის გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ფუნქციასთან, საერთაშორისო საფრთხეების, მათ შორის ტერორიზმის, ექსტრემიზმის და სხვა ასპექტებთან მიმართებაშიც. შესაბამისად, რუსეთს ევრაზიული კავშირის შექმნაში ჩადებული მიზნებისათვის ამ სტატუს-კვოს დარღვევა სჭირდება. ეს კი რეგიონის კონფლიქტოგენურობის ისედაც მაღალ ხარისხს კრიტიკულ დონემდე აიყვანს. რა თქმა უნდა, ჩვენთვის განსაკუთრებით საგანგაშოა ევრაზიული კავშირის სამხედრო შემადგენელი, რაც ერთიანი თავდაცვითი სისტემის შექმნას, კოლექტიური შეიარაღებული ძალების კავშირის სივრცეში „სტაბილურობისა“ და შიდა კონფლიქტების ჩასაქრობად ფორმირებას გულისხმობს, აგრეთვე ახალი წარმონაქმნის გარეპერიმეტრის საზღვრების დაცვას ნიშნავს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევრაზიული კავშირის პოტენციური წევრი ქვეყნები კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებაზე ხელმომწერები არიან. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და თურქმენეთი. კასპიის ზღვაში რუსეთის სამხედრო ფლოტს ისედაც დიდი უპირატესობა ჰქონდა და მის მოდერნიზაციას კვლავ აგრძელებს, ამის პარალელურად თურქმენეთი რუსეთის დახმარებით საკუთარი ფლოტის შექმნის სურვილს გამოთქვამს. აღსანიშნავია ისიც, რომ თურქმენეთი უკვე საკმაო ხანია ნეიტრალიტეტის საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსს ატარებს. საკუთარი სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად ასეთი სტატუსის მოპოვება, როგორც წესი, მხოლოდ საკუთარი სურვილით არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია — ამისათვის გლობალური აქტორების შეთანხმებაა საჭირო. სხვა კასპიისპირა ქვეყნების ორიენტაცია ევრაზიულ კავშირზე, პრაქტიკულად, ამ რეგიონში რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ უპირატესობას სრულად განსაზღვრავს. სომხეთი, მიუხედავად იმისა, რომ კომპლემენტარიზმის პოლიტიკას ატარებს, კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის წევრია. აზერბაიჯანი, წარმოადგენს რა „ევრაზიული ბალკანეთის“ საყრდენ წერტილს, სასიცოცხლოდ აუცილებელი „გასაღებია“ კასპიისა და ცენტრალური აზიის ენერგორესურსების დასავლური ენერგოპროექტების რეალიზაციისათვის.

აზერბაიჯან-თურქეთის თანამშრომლობა ის რგოლია, რომელმაც ამ ქვეყნების გათვლებით, ხელი უნდა შეუშალოს რუსეთს, გახდეს მონოპოლისტი კავკასიაში და დაკარგოს გავლენა ცენტრალურ აზიაში, მაგრამ გავითვალისწინოთ ისიც, რომ აზერბაიჯანი განსაკუთრებით ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში რუსული გავლენისადმი მოწყვლადია. გამოდის, რომ საქართველო რეგიონის ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც დასავლეთისადმი მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტები აქვს, უსაფრთხოების საკითხებში ნატოსადმი სწრაფვით გამოირჩევა და ა.შ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2002-2003 წლებში სტრატეგიულ პრიორიტეტებთან დაკავშირებით საქართველოც რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავს მდგომარეობაში იყო. 2003 წლის მარტის სოჭის სამიტზე პრეზიდენტების შეხვედრისას დეკლარირებული იყო სტრატეგიული პარტნიორობა როგორც რუსეთთან, ისე აშშ-სთან. იმ დროინდელი მმართველი გუნდის საარჩევნო კოალიცია მრავალვექტორულობის ე.წ. ჯვარისებრი კონცეფციით გამოდიოდა. ჩემი აზრით, ეს საგარეო პრიორიტეტებთან მიმართებაში ჩამოუყალიბებლობა და მყიფე ფაქტობრივი ნეიტრალიტეტი იყო. დღეისათვის კი ვითარება შეცვლილია, საქართველო „ევრაზიულ ბალკანეთში“ დასავლეთისთვის ყველაზე საიმედო პარტნიორად რჩება. **აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და მისი გეოპოლიტიკური ხასიათი, რაც მოგვიანებით პრეზიდენტმა მედვედევმაც აღიარა, მან თქვა, რომ ეს ომი რუსეთს ნატოს გაფართოების შესაკავებლად სჭირდებოდა.** ჩემი აზრით, სწორედ აღნიშნულ კონტექსტში უნდა „წავიკითხოთ“ მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს დაგეგმილი აშშ-საქართველოს პრეზიდენტების უმაღლესი დონის შეხვედრა და ამ კონტექსტშია მოლოდინები ჩიკაგოს ნატოს სამიტთან მიმართებაშიც.

**— რა გავლენის მოახდენა შეუძლია ევრაზიულ კავშირს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებზე?**

— უმნიშვნელოვანესი საფრთხეა საქართველოსთვისაც და ზოგადად სამხრეთ კავკასიისთვისაც სეპარატისტული რეგიონების ევრაზიულ კავშირში გაწევრება. ასეთ შემთხვევაში კი ადვილი წარმოსადგენია, რას გამოიწვევს საქართველოს ტერიტორიის ძირითადი ნაწილის და მისი ოკუპირებული რეგიონების ორ პოლარიზებულ სამხედრო ბლოკში (ნატო — ევრაზიული კავშირი) აღმოჩენა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ევრაზიულ კავშირში გაწევრება გაერთიანების პოტენციური წევრი ქვეყნების მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების გარეშე ვერ მოხდება. ეს კი არცთუ მარტივი საქმეა. ცენტრალური აზიისა და სხვა პოსტსაბჭოთა, ევრაზიული კავშირის პოტენციურ ქვეყნებს მთელი რიგი საერთაშორისო ვალდებულებები აქვთ, რაც მათ ასეთი გადაწყვეტილებების მიღების არეალს უზღუდავს.

**— რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას...**

— იმ ფონზე, თუ როგორ აგვარებს რუსეთი რელიგიურ ექსტრემიზმსა და ტერორიზმთან დაკავშირებულ საფრთხეებს, პროგნოზირებადია ცენტრალური აზიის რეგიონში სტატუს-კვოს დარღვევით გამოწვეული ტერორიზმისა და ექსტრემიზმის ახალი ტალღა, რის წინააღმდეგაც ეფექტიანი წინააღმდეგობის რესურსი არც რუსეთს, არც ევრაზიულ კავშირს არ გააჩნიათ და ეს სამხრეთ კავკასიაზეც აისახება.

**— თქვენი აზრით, რა გახდა კრემლისთვის ევრაზიული კავშირის შექმნის იდეის პედალირების მიზეზი?**

— რუსეთში 2011 წლის დეკემბერში პროცესებმა კულმინაციასა და კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. დასავლეთის დასამშვიდებლად და შიდა მოლოდინების შესაქმნელად განსაზღვრულმა მედვედევის ლიბერალურმა ფასადმა აღარ იმუშავა. დუმის არჩევნებმა და პუტინის ახალ საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგენამ რუსეთის რეფორმირებასა და დემოკრატიზაციასთან მიმართებაში ყველა ილუზია დაამსხვრია. რუსეთში საპროტესტო გამოსვლების ტალღა დაიწყო, ქვეყანა დადგა ახალი რეალობის წინაშე — მოსკოვი იძულებულია ახალ იდეოლოგიურ სივრცეში აიღოს სტარტი. სწორედ ახლადშექმნილმა გარემოებებმა უბიძგა რუსეთის მმართველ ელიტას ევრაზიული იდეოლოგია „გაეღვიძებინა“. 2000 წლიდან რუსეთში ხელისუფლება მონოპოლისტურად აკონტროლებდა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, ინფორმაციულ და სოციალურ-კულტურული ცხოვრების პროგრამულ უზრუნველყოფას. შესაბამისად, კრემლი წყვეტდა, ვინ უნდა ყოფილიყო სისტემის შიგნით თუ გარეთ. ასე წყდებოდა, ვინ უნდა ყოფილიყო მარგინალი და ვინ ჩართულიყო დიდ პოლიტიკაში. ყველა ხვდება, რომ არსებული ეკლექტიკური, ერთმანეთზე მკაცრად გადაბმული „ლიბერალიზმი“ და „პატრიოტიზმი“ მომავალ ათწლეულში ვეღარ იმუშავებს.ჩემი აზრით, სწორედ ამ ფონზე ხდება რუსეთში ევრაზიული იდეოლოგიისა და ევრაზიული კავშირის შექმნის ინიციატივების წამოყენება. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2000-2004 წლებში ეს კონცეფციები გარკვეულწილად იგნორირებული იყო მმართველი ელიტის მიერ იმ დონეზე, რომ 2003 წლის დუმის არჩევნებში არც ერთ ევრაზიული მიმართულების პოლიტიკურ ძალას არ გაამარჯვებინეს: ბლოკი „დიდი რუსეთი, ევრაზიული კავშირი“ სამარცხვინოდ „ჩავარდა“ დუმის არჩევნებში. შეგახსენებთ, რომ არჩევნებში ერთმანეთს ევრაზიული მიმართულების რამდენიმე პარტია დაუპირისპირდა, ევრაზიულმა პარტიამ (დეპუტატი ა.ნიაზოვი, ბოროდინიძ, პარტია ევრაზია (დუგინიძ და სხვა ევრაზიული მიმართულების პოლიტიკურმა ძალებმა სათათბიროში მოსახვედრი 5-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს. ეს კი კრემლის ადმინისტრაციის ნების გარეშე არ მომხდარა.

**— რა გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ასპექტებს ხედავს კრემლი ევრაზიულ კავშირში?**

— ევრაზიულ კავშირთან მიმართებაში რუსეთის ინტერესები ევრაზიულობის რამდენიმე მთავარ პრინციპზეა აგებული. მათგან აღვნიშნავდი მრავალპოლარულობის შექმნის იდეას, გავლენის რეგიონალური პოლუსებით; სწორედ მრავალპოლარულობის მოდელიდან გამოდის მათი პოლიტიკური ფილოსოფიის მეორე შემადგენელი — პოსტსაბჭოთა სივრცის ინტეგრაცია. ამ ინტეგრაციის მიზეზია ის ფაქტი, რომ კრემლი აცნობიერებს: რუსეთი ვერ შეძლებს დამოუკიდებლად თვითმყოფადი და დასრულებული პოლუსი გახდეს. მას სჭირდება მოკავშირეები და ინტეგრაცია. რუსეთს სჭირდება უკრაინა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ცენტრალური აზიის სიღრმეებში შესვლა, გაერთიანებული ენერგეტიკული, ეკონომიკური, სამხედრო სტრატეგიული პოტენციალი, სასარგებლო წიაღისეული და მათი გატანის მარშრუტები, აქ პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიური დერეფანი იგულისხმება.ვთქვათ ისიც, რომ კასპიის და ცენტრალური აზიის რეგიონებისადმი დაინტერესება სხვა გეოპოლიტიკურ ცენტრებსაც (აშშ, ევროკავშირი, ჩინეთიძ აქვთ. რეგიონში გავლენისათვის ისლამური სამყაროს სამი განშტოების ლიდერები: თურქეთი, ირანი და საუდის არაბეთი იბრძვიან. ამ ფონზე ცენტრალური აზიის ქვეყნები ატარებენ მრავალვექტორულ საგარეო პოლიტიკას, რაც გამოიხატება მზადყოფნაში, ითანამშრომლონ ნებისმიერ საგარეო პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც მათი დახმარებისათვის იქნება მზად. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მათ დღემდე არ ჰქონდათ გამოკვეთილი, რომელი აქტორისათვის მიენიჭებინათ პრიორიტეტი. ეს ნებისმიერი ძალისათვის რეგიონალური გავლენის მოსაპოვებლად სერიოზული შემაკავებელი და შემზღუდველი იყო. სწორედ ეს აძლევდა ცენტრალური აზიის საგარეო პოლიტიკას სპეციფიკურ, არასტაბილურ ხასიათს. ახალი რეალობა, ევრაზიული კავშირის შექმნის მცდელობა არღვევს რეგიონის ქვეყნების არამარტო მრავალვექტორულობის პოლიტიკას, არამედ რეგიონთან მიმართებაში დასავლურ პროექტებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მხედველობაშია აბრეშუმის გზის სტრატეგია, რაც გულისხმობდა ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ხიდის ფუნქციას ევროპასა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონებს შორის. როგორც ხედავთ, მოვლენათა რუსული სცენარით განვითარების შემთხვევაში, სამხრეთ კავკასია უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ფუნქციას კარგავს. ცენტრალური აზიის ქვეყნების ჩამოუყალიბებლობამ სტრატეგიულ პარტნიორებთან მიმართებაში შეზღუდა მათი ჩართულობა დასავლეთის გლობალურ ენერგოპროექტებთან (ტრანსკასპიურიძ დაკავშირებით, ვერ შეიძინა სრულყოფილად გეოეკონომიკური ხიდის ფუნქცია და ვერ მოახდინა ენერგორესურსების მოპოვებისა და მათი ტრანსპორტირების დივერსიფიკაცია. სტრატეგიული არჩევანის არარსებობა, განუხორციელებელი აუცილებელი რეფორმები, ფერადი რევოლუციებისა და არაბული გაზაფხულის „შიში“ მმართველი ელიტისათვის ევრაზიული კავშირისაკენ ფონს ქმნის. ნაცვლად ზემოაღნიშნული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქციებისა, ჩნდება გეოეკონომიკური ჩიხის ალბათობა, რაც გულისხმობს აბრეშუმის გზის სტრატეგიის ნაცვლად ევროკავშირის უსახურ კლონს ევრაზიული კავშირის სახით.

**რკინიგზა**

*მომავალში როგორი იქნება ვარდების მოედანი, როცა იქ ხალხში „ანდროპოვის ყურებად“ ცნობილი ბეტონის თაღების ბოლო ნაკვალევიც წაიშლება, ჯერჯერობით ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ იქაურობას გაურკვეველი მიმართულებით ორიენტირებულმა ველოსიპედის ქანდაკებამ სინატიფე რომ ვერ შესძინა, ეს ნაღდია. ამდენად, ეს ადგილი დედაქალაქის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთ ნაკლებად მიმზიდველ მოედნად რჩება, რადგან ბოლო დროს კონსტიტუციისა და გმირთა მოედნებმა ოდნავ „თვალში გამოიხედეს“. ეს განსაკუთრებით გმირთა მოედანს ეხება, რომელიც რეკონსტრუქციამ საგრძნობლად გამოაცოცხლა. მაგრამ მისგან არცთუ შორს, სულ ერთ კილომეტრში, არის კიდევ ერთი მოედანი, რომელიც, მართალია, ახლა მნახველს ვერაფრით ხიბლავს, მაგრამ მომავალში, თუკი თბილისის მერიამ რაიმე არქიტექტურული „ფინტის“ გაკეთება არ მოინდომა, მას ცენტრის ერთ-ერთ მომზიდველ ადგილად გადაქცევის ჩინებული პერსპექტივა თუნდაც მარტო უნიკალური ადგილმდებარეობის წყალობით აქვს. მხედველობაში მაქვს, რა თქმა უნდა, სადგურის მოედანი. საქმე ისაა, რომ გაისად თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა უნდა დასრულდეს და ის ადგილი, სადაც ამჟამად, დედაქალაქის ცენტრალური და ბორჯომის ვაგზლებია, „გათავისუფლდება“. თუმცა, შესავალი, ცოტა არ იყოს, გამიგრძელდა და სჯობს მთავარ სათქმელს მივყვე.*

# ახლა უკვე საკუთარი თავის იმედად

მას შემდეგ, რაც შემოვლითი სარკინიგზო მაგისტრალი ამოქმედდება, როგორც უკვე ვწერდით, ყველა ტვირთი, რომელიც სადღეისოდ თბილისის ცენტრზე გადის, დედაქალაქში აღარ გაივლის. რაც შეეხება სამგზავრო ნაკადებს, ქალაქში ორი მთავარი სარკინიგზო სადგური იქნება – დასავლეთის მიმართულების ნაკადისთვის დიდუბე, ხოლო აღმოსავლეთის მიმართულების ნაკადისთვის – ნავთლუღი. მართალია, ეს სადგურები დღესაც მოქმედებენ, მაგრამ ძალიან მცირე დატვირთვით, ხოლო მათ სრული რეჟიმით ასამოქმედებლად სათანადო სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდება.

არსებული მონაცემებით, თბილისის შემოვლითი სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანის პროექტის ფრთაშესხმის მიზნით სს „საქართველოს რკინიგზამ“ კერძო მესაკუთრეებისგან დაახლოებით ათასი მიწის ნაკვეთი შეიძინა, რომლებსაც, კომპენსაციის სახით, 22 მილიონ ლარზე მეტი გადაუხადა. თუ როგორ ხდებოდა მიწის ნაკვეთების, შენობა-ნაგებობებისა და ხეხილის შეფასება, რამდენად სამართლიანი და საბაზრო ფასების შესაბამისი იყო დადგენილი ნიხრი, ეს სხვა საკითხია, რომელზეც ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: სააქციო საზოგადოების მიმართ პრეტენზიები დღესდღეობით არაერთ ოჯახს აქვს, რომლებსაც ამჟამად „საქართველოს რკინიგზის“ იურიდიული სამსახურის სპეციალისტები იხილავენ. რამდენად სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებენ იურისტები, უფრო სწორად კი რამდენის დამატების უფლებას მისცემენ მათ, ამას მომავალი გვიჩვენებს. არადა, ვფიქრობ, ამის შესაძლებლობა „საქართველოს რკინიგზას“ ნამდვილად აქვს, ვინაიდან ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ვითარება ისეთი იყო რომ შემოვლითი რკინიგზის პროექტის დასასრულებლად მას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRDძ დამატებითი კრედიტი უნდა აეღო, მაგრამ ამის გაკეთება საჭირო აღარ გახდა. მაშასადამე, კომპანიას აღარც სესხის პროცენტების გადახდა მოუწევს, ეს კი მეტად სოლიდური თანხებია... ამასთან დაკავშირებით „საქართველოს რკინიგზაში“ აცხადებენ, რომ კომპანიის დღევანდელი ფინანსური მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე, თავის დროზე, ბანკთან ხელშეკრულების გაფორმებისას იყო, ამდენად ახლა შეუძლიათ ვალის აღებას თავი აარიდონ. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან გამოყოფილი დაახლოებით 100 მილიონი ევროდან „საქართველოს რკინიგზას“ არც ერთი ევრო არ დაუხარჯავს, ამიტომაც ძველი კონტინენტის ამ ერთ-ერთ უმსხვილეს ფინანსურ ინსტიტუტთან ხელშეკრულების მოქმედება შეაჩერეს, რის შესახებ ბანკირებსაც შეატყობინეს.

რაც შეეხება თბილისის შემოვლითი სარკინიგზო ხაზის გაყვანის პროექტს, მისი მთლიანი ღირებულება, პირველადი სახელშეკრულებო პროექტის თანახმად, 170 მილიონი ევროა. ამ თანხის უმეტესი ნაწილი, კერძოდ, 100 მილიონი ევრო, როგორც ზემოთ აღვნიშნე, „საქართველოს რკინიგზისთვის“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან უნდა მიელო საკრედიტო ხაზით, თავად კომპანიას კი დანარჩენი 70 მილიონი ევრო უნდა გამოეყო. ახლა კი გადაწყდა, რომ „საქართველოს რკინიგზა“ პროექტს მთლიანად თავისი სახსრებით დააფინანსებს. ამის შესაძლებლობა კი, როგორც ჩანს, კომპანიას ის გარემოება აძლევს, რომ „საქართველოს რკინიგზის“ მიერ შარშან მიღებულმა შემოსავალმა 84 მილიონი ლარით მოიმატა და 489 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო წმინდა მოგება იმავე პერიოდში 43,5 მილიონი ლარით გაიზარდა და 145 მილიონი ლარი შეადგინა.

შარშან, თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობაზე, რომელსაც გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული საქართველო-ჩინეთის კონსორციუმის წარმომადგენელი სს „ხიდმშენი“ ახორციელებს, „საქართველოს რკინიგზამ“ 140 მილიონი ლარი დახარჯა. ამასთან, სწრაფი რკინიგზის პროექტში კი,



რომელიც სარკინიგზო მაგისტრალის, ფაქტობრივად, სრული მოდერნიზება, ახალი ლიანდაგების დაგებასა და ინფრასტრუქტურის შექმნას გულისხმობს, 92 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა. წლეულსაც სამუშაოების გაგრძელებას „საქართველოს რკინიგზა“ საკუთარი სახსრებით განაგრძობს, მას თავისით დაასრულებს, რის საშუალებას, როგორც აცხადებენ, საკუთარი შემოსავალი აძლევს.

ამჟამად თბილისის შემოვლითი სარკინიგზო გზის 40-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა მიმდინარეობს. ამ სამუშაოთა პარალელურ რეჟიმში კახეთის მიმართულების მეორე სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაცია ხორციელდება. გარდა აღნიშნულისა, პროექტის ფარგლებში დაახლოებით 4,5 კილომეტრის სიგრძის გვირაბს გაიყვანენ, ხოლო 2013 წლის დამდეგისთვის კი, როგორც ითქვა, რკინიგზით გადაზიდულ მთელ ტვირთს შემოვლითი ხაზით გადაიტანენ.

გარდა ამისა, წლეულს, ჩქაროსნული რკინიგზის პროექტის ფარგლებში, „საქართველოს რკინიგზა“ ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, ოზურგეთისა და ბათუმის მიმართულებებზე თანამედროვე ელექტრომატარებლების რაოდენობის გაზრდას გეგმავს. მათ შორის, სადღეისოდ ბათუმისა და ქუთაისის მიმართულებებზე სამი თანამედროვე ტიპის სამგზავრო მატარებელი მოძრაობს, ორიოდე კვირაში კი, გეგმის თანახმად, მათ კიდევ სამი ახალი ელექტროშემადგენლობა დაემატება, რომლებიც მგზავრებს დანარჩენი მიმართულებით გადაიყვანენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

**რომელია ყველაზე საიმედო ვალუტა?**

# ლარი, დოლარი, ევრო – მეანაბრეებს თავის ტკივილი გაუმძაფრდათ

**ყოველი წლის დასაწყისში ქართველ მეანაბრეებს ერთი კითხვა აწუხებთ - რომელ ვალუტაში სჯობს დეპოზიტის განთავსება. რადგანაც მსოფლიოში ეკონომიკური ტენდენციები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება, ყველა პროგნოზი მკითხაობა-მარჩიელობის დონემდე დავიდა.**

ეროვნული ბანკი ქვეყნის ფინანსური სექტორის სიმყარესა და სტაბილურობაზე 2011 წლის „ფინანსური სტაბილურობის ანგარიშში“ საუბრობს. მრავალგვერდიანი ანალიზიდან ირკვევა, რომ ყველაზე დიდ რისკს ქართული საფინანსო სექტორისთვის ეკონომიკის მაღალი დოლარიზაცია წარმოადგენს.

კვლევის ავტორების განმარტებით, **სპეციალურმა სტრესტესტებმა აჩვენა, რომ ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციის გავლენით მთავარ რისკად ლარის გაუფასურება რჩება, რაც ფინანსური სისტემის დონეზე მნიშვნელოვან ზარალს წარმოშობს. თუმცა, ამავე ანგარიშში ნათქვამია, რომ მიუხედავად ამ რისკის მნიშვნელობისა, ფინანსური სისტემის მდგრადობა კითხვის ნიშნის ქვეშ, მოვლენების სავარაუდოზე უფრო პესიმისტურად განვითარების შემთხვევაშიც კი არ დადგება.**

მოკლედ, ქვეყანაში დოლარიზაცია მაღალია, მოსახლეობა კი ცოტა არ იყოს დაბნეული. **მსოფლიოში ვითარება ისეთი სისწრაფით იცვლება, რომ ადამიანებს ვერ გაუგიათ დანაზოგი რომელ ვალუტაში გააკეთონ. თუკი ადრე დოლარი ყველაზე სტაბილურად მიიჩნეოდა, შემდეგ იგი ევრომ დაჩრდილა, ახლა კი თავად ევროს უდგას შავი დღე.**

ამიტომ ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე სჯობს ლარში განათავსონ დეპოზიტები. **„ევრო ამ ეტაპისათვის რისკიანია, რადგან ევროზონის კრიზისი გრძელდება და კვლავაც ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს თუ როგორ აღმოიფხვრება ეს პრობლემა. შესაბამისად, ალბათ, სჯობს ლარში ან დოლარში განათავსონ დეპოზიტები.**

**თუ კრიზისი გაგრძელდა და სიტუაცია მივიდა იქამდე, რომ ევროკავშირი დაიშალა და რიგი ევროპული ქვეყნები დეფოლტის წინაშე დადგნენ, საქართველოს სახელმწიფოსაც და კომერციულ ბანკებსაც შეექმნებათ თანხების მოზიდვის პრობლემები, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკა და საბანკო სექტორი საკმაოდ მყარია და ამ ეტაპისთვის რესურსების მოზიდვის პრობლემა არ აქვს“,** – აცხადებს „კომერსანტთან“ საუბრისას საინვესტიციო ბანკ „ბიჯი კაპიტალის“ ფასიანი ქაღალდების გაყიდვების მენეჯერი გიორგი შენგელია.

საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი კი აცხადებს, რომ **ევროზონის კრიზისი ლარზე არ აისახება.** ზურაბ გვასალიას თქმით, 2012 წელს ეროვნულ ვალუტას საფრთხე არ ემუქრება. მეტიც, გვასალია მიიჩნევს, რომ წელს დანაზოგის გაკეთება ლარში უფრო მიზანშეწონილია.

**მისი განმარტებით, ევროზონაში კრიზისის გამწვავების შემთხვევაში ლარის კურსის შენარჩუნებაზე ეროვნული ბანკი დაიწყებს მუშაობას და მომხმარებელი ანაბრის ლარში არსებობის შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად დაზარალდება.**

გვასალიას განცხადებით, **ამ ეტაპზე პროგნოზის გაკეთება 2012 წლის სავალუტო კურსის შესახებ შეუძლებელია, თუმცა, მისი აზრით, ამ ეტაპზე ევროზონაში შემავალი ქვეყნების აშკარა გლობალური მცდელობაა, რომ ევროკავშირმა ერთიანი ვალუტა შეინარჩუნოს.**

„ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრში“ კი, საბანკო ასოციაციის პრეზიდენტისგან განსხვავებით, 2012 წელს დანაზოგის გაკეთების მსურველებს ფულის დაბანდებას დოლარში ურჩევენ. ცენტრის ექსპერტის განცხადებით **ევროზონის კრიზისის ფონზე, როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები ევროს შენარჩუნებასა და სტაბილიზაციისთვის იბრძვიან, ევროპული ვალუტა დანაზოგისთვის საუკეთესო არჩევანი არ არის.**

დავით ნარმანიას თქმით, **დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების ფონზე არც ლარში დაბანდებებია მიზანშეწონილი, რადგან, მისი მტკიცებით, პოლიტიკურად აქტიურ პერიოდს ყოველთვის თან ახლავს სავალუტო კურსის მცირე რყევები მაინც.**

**ჯამში, „ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრის პროგნოზით“ 2012 წელს ყველაზე საიმედო ვალუტის სტატუსს ამერიკული დოლარი მიიღებს.**

**ეკა ბაქრაძე,**
Presage.tv



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# პუტინს პრობლემები ქართველ ერთან აქვს

როდესაც რუს ჟურნალისტებთან ვლადიმერ პუტინის ამასწინანდელ შეხვედრას უკეთებდა კომენტარს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის ფედერაციის პრემიერს ბრალი დასდო იმაში, რომ ის ქართველი ერისადმი განიცდის ანტაგონიზმს.

„თუ ვინმე დაჟინებით ამტკიცებს, რომ პუტინს პრობლემები საქართველოს მთავრობასთან აქვს, ეს ადამიანი მომართავდა მას და ცივ წყალს გადაასხამდნენ... როდესაც თქვა, რომ აკუნინი ებრძვის მას იმიტომ, რომ აკუნინი ქართველია. ამით პუტინმა აჩვენა, რომ მას პრობლემები აქვს ქართველებთან, ქართველ ერთან და არა საქართველოს რომელიმე მთავრობასთან – ეს არის ის, რაც ჩვენ უამისოდაც ვიცოდით და ვხვდებოდით, მაგრამ ამჟამად პუტინმა თავად აღიარა ეს“, – განაცხადა სააკაშვილმა 20 იანვარს.

შეგახსენებთ, ნოვო-ოგარიოვოში 18 იანვარს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მთავარ რედაქტორებთან შეხვედრაზე პუტინმა გაიხსენა საქართველოსა და ქართველების შესახებ რუსეთის ოპოზიციურ მოძრაობასთან კონტექსტში. კერძოდ, პრემიერმა გამოთქვა ვარაუდი, რომ რუსი მწერალი ბორის აკუნინი (გრიგოლ ჩხარტიშვილი) მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო დუმაში არჩევნების შედეგების წინააღმდეგ პროტესტებში იმ მიზეზით, რომ იგი ეთნიკური ქართველია.

„ხომ გესმით, ხალხი მოქმედებს სულ სხვადასხვა მოსაზრებებით. აი, მაგალითად, ჩვენ ყველას გვიყვარს მწერალი აკუნინი. ის წერს მეტად საინტერესო, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, საინტერესო ნაწარმოებებს. ზოგიერთი რამე ეკრანზეც გადააქვთ. იგი, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ეთნიკური ქართველია. მესმის, რომ მას შეეძლო არ აღექვა რეალურად რუსეთის მოქმედება კავკასიაში ცნობილი კრიზისებისა და მოვლენების დროს, არსებითად კი შეიარაღებული ბრძოლა საქართველოსა და რუსეთს შორის, როდესაც რუსეთი იძულებული იყო დაეცვა სამხრეთოსეთელები და ჩვენი მშვიდობისმყოფელები, რომლებსაც თავს დაესხნენ და, უზრალოდ, ხოცავდნენ“, – განაცხადა პუტინმა 18 იანვარს.

როდესაც პუტინის სიტყვებს კომენტარს უკეთებდა, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მას არ ეშინია რუსეთის პრემიერის „მუქარისა“, და ყურადღება მიაპყრო იმას, რომ პუტინმა პირველად თქვა: 2008 წელს ომი სამხრეთ ოსეთში იყო „შეიარაღებული ბრძოლა საქართველოსა და რუსეთს შორის“.

„ჩვენ არ გვეშინია მათი მუქარისა, ვინაიდან მათ თავს ემხობა საკუთარი ქვეყანა. და ყველა ეს პანიკური განცხადებანი ნათქვამია იმ ბრალის აღიარებაში, რომ თურმე არანაირი სამშვიდობო ოპერაცია არ ყოფილა, რომ ეს იყო რუსეთ-საქართველოს სამხედრო დაპირისპირება, რის შესახებაც ჩვენ ყოველთვის ვსაუბრობდით, – ეს ყოველივე მიუთითებს იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება დღეს ეს რეჟიმი“, – თქვა სააკაშვილმა.

### „დაიტოვონ მილიონები“

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე ბრალი დასდო რუსეთს მცდელობაში, მოისყიდოს ზოგიერთი ქვეყანა აფრიკაში მათი მხრიდან საქართველოსგან გამოყოფილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიზნით. სააკაშვილმა განაცხადა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ გამოყოფილი რეგიონების დამოუკიდებლობა არ აღიარა „არც ერთმა პასუხისმგებელმა“ ქვეყანამ, მიუთითებს რუსული დიპლომატიის „კრიზისსა“ და „ჩიხურ მდგომარეობაზე“.

„კურიოზული და სასაცილოა ის ფაქტი, რომ უკანასკნელი კვირების განმავლობაში მოსკოვიდან გაგზავნეს ემისრები აფრიკის ქვეყნებში, სთავაზობდნენ, მათ შორის, კონკრეტულ ჩინოვნიკებსაც, კონკრეტული მთავრობების წარმომადგენლებსაც ჩაიჯიბონ ასობით მილიონები ქრთამის სახით, თუ აღიარებენ ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად... ასეთი დიპლომატიის წყალობით, დარწმუნებული ვარ, საქართველო გაცილებით უფრო ადრე დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს, ვინაიდან მოსკოვი მოქმედებს იმ პოლიტიკით, რომელმაც იგი თავად ჩიხში შეიყვანა“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

სააკაშვილის აზრით, რუსეთის საშინაო პოლიტიკა ქვეყანას დამღუპველ შედეგებამდე „მიიყვანს“. რაც შეეხება საქართველოს, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქვეყანამ უნდა გააგრძელოს დაწყებული რეფორმები, რომლებითაც „მოხიბლული“ არიან საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა და რუსი პოლიტიკოსებიც კი.

„ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ არაკორუმპირებული, სწრაფ პროგრესზე მდგარი გარემო, გამოვიყვანოთ კიდევ უფრო მეტი ხალხი გაჭირვებიდან, განვავითაროთ კიდევ მეტი პროექტები და ველოდოთ შედეგებს“, – აღნიშნა სააკაშვილმა.



### „ნაწილობრივ თავისუფალი“ ქვეყანა

პრეზიდენტ სააკაშვილის აზრს საქართველოს პროგრესის შესახებ დემოკრატიული თვალსაზრისით არ იზიარებს სამართალდაცვის ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსი“. ორგანიზაციის ყოველწლიურ მოხსენებაში „თავისუფლება მსოფლიოში 2012 წელს“ საქართველო კვლავ აღმოჩნდა „ნაწილობრივ თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფში. ამავე დროს, იმავე მოხსენების თანახმად, რუსეთი არის „არათავისუფალი ქვეყანა“. სიტუაციის შეფასებისთვის კრიტერიუმი იყო 195 ქვეყანაში პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებების დონე.

„ფრიდომ ჰაუსის“ გამოკვლევის თანახმად, მსოფლიოში „თავისუფალი“ ქვეყნების რიცხვმა 45 პროცენტი შეადგინა, „ნაწილობრივ თავისუფლებისა“ – 31 პროცენტი, ხოლო „არათავისუფალისა“ – 24 პროცენტი.

VOA NEWS.com Голос Америки

---

# პუტინი რობერტსონს ნატოში ურიგოდ შესვლას სთხოვდა

რუსეთის პრეზიდენტის არჩევნების წინ ბრიტანულმა ტელეკომპანია BBC-მ ვლადიმერ პუტინის შესახებ დოკუმენტური ფილმის ჩვენება დაიწყო, რომლის მესამე სერია მთლიანად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს მიეძღვნება. ფილმში არის თავად ვლადიმერ პუტინისა და მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუები. რუსეთის პრემიერის კომენტარების ნაწილი სხვაგან არსად გამოქვეყნდება და პირველად სწორედ ამ დოკუმენტურ „სერიალში“ იქნება წარმოდგენილი.

ფილმი „პუტინი, რუსეთი და დასავლეთი“ 4 სერიისგან შედგება. მისის ავტორები ცნობილი კინოდოკუმენტალისტები – რეჟისორი ნორმა პერსი და პოლ მიტჩელი არიან. მათ უამრავი საარქივო მასალა გამოიყენეს, ფილმში ნაჩვენები იქნება ბარაკ ობამასთან, დიმიტრი მედვედევთან, მიხეილ სააკაშვილთან, კონდოლიზა რაისთან, ნიკოლა სარკოზისთან, ლეონიდ კუჩმასთან და თავად ვლადიმერ პუტინთან ინტერვიუები.

ავტორები პუტინს პოლიტიკური პროცესებით მანიპულირების ხელოვანს უწოდებენ, რომელიც მწვერვალზე ძალოვანი სამსახურებიდან ავიდა და მსჯელობენ იმაზე, თუ როგორც მოახერხა ასეთი მახასიათებლების ადამიანმა, ჯერ დასავლეთის მოკავშირე გამხდარიყო, შემდგომ კი – მისი შეშფოთების ობიექტი.

პირველი სერია, რომელიც უკვე გავიდა ეთერში, – „ხელისუფლებაში მოსვლა“, ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან იწყება, როცა ბორის ელცინის დროს პუტინი მისი მემკვიდრე გახდა და ხელთ იგდო რუსეთის პოლიტიკის კონტროლის სადავეები. პირველი სერია იწყება ლუბლიანაში, პუტინისა და ჯორჯ ბუშის იტორიული შეხვედრიდან, როცა ამერიკელმა ლიდერმა წარმოთქვა თავისი ცნობილი ფრაზა იმის შესახებ, რომ ჩახედა რა თვალებში თავის რუს კოლეგას, მისი სული დაინახა. რის შემდეგაც, რესპუბლიკელმა კანდიდატმა ჯონ მაკკეინმა განაცხადა, რომ მანაც ჩახედა პუტინს თვალებში და იქ 3 ასო – კ გ ბ დაინახა.

ფილმში აქცენტი კეთდება პუტინის საგარეო პოლიტიკურ კურსზე, როცა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ პუტინი, უეცრად, დასავლეთის მოკავშირე, შემდეგ კი მისი ხმაურიანი მოწინააღმდეგე გახდა.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ბუშსა და პუტინს შორის მოლაპარაკებაზე და მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის დაახლოებაზე კონდოლიზა რაისი და რუსეთის უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივანი სერგეი ივანოვი ყვებიან. ივანოვი, მოულოდნელად აღიარებს, რომ ავღანელი თალიბების წინააღმდეგ ამერიკული ოპერაციის დაწყების შემდეგ ტერორისტული მოძრაობის ემისრები რუსეთთან კონტაქტზე გავიდნენ და მას აშშ-ის წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით გამოსვლა შესთავაზეს. ივანოვის თქმით, რუსეთმა მათ მკაცრი უარი უთხრა. ფილმში ხაზგასმულია, რომ დასავლეთთან მოკავშირეობამ ხელი არ შეუშალა პუტინს, ქვეყნის შიგნით ავტორიტარული კურსი გაეტარებინა.

2000-2004 წლებში, რუსეთის პრემიერ-მინისტრი მიხეილ კასიანოვი ხოდორკოვსკის დემარშს იხსენებს, როცა პრეზიდენტსა და ოლიგარქებს შორის ცნობილ შეხვედრაზე, იუკოს-ის ხელმძღვანელმა ხელისუფლება კორუფციაში დაადანაშაულა და როგორ დაფრთხნენ და შეშინდნენ ამის გამო მრავალმილიონიანი ქონების პატრონი გავლენიანი რუსი ბიზნესმენები. ფილმში ნათქვამია, რომ სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ დაიწყო ხოდორკოვსკის დაცემა.

პირველ სერიაში არის ძალიან საინტერესო, თითქმის სენსაციური ინფორმაცია რუსეთთან და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაკავშირებით. ნატოს მაშინდელი გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი ამტკიცებს, რომ ვლადიმერ პუტინი პირდაპირ, ღიად უსვამდა მას კითხვას: „როდის აპირებთ მიიწვიოთ რუსეთი ნატოში? მე ვუპასუხე, რომ ჩვენ არ ვარიგებთ მოსაწვევებს და მას, ვისაც სურს ალიანსში შესვლა, განაცხადს აკეთებს... მან კი თქვა, რომ არავისთან რიგში ჩადგომას არ აპირებენ.“

ამავე კონტექსტში, გერმანიის ექსკანცლერი გერჰარდ შრედერიც ამბობს, რომ დარწმუნებული იყო, რუსეთის ნატოში შესვლა კარგი იქნებოდა მოსკოვისთვისაც და ალიანსის სხვა წევრებისთვისაც.

დასავლეთსა და რუსეთს შორის უფსკრულის გაღრმავებას მიეძღვნება მეორე ფილმი „დემოკრატია იმუქრება“, მასში ნაჩვენები იქნება ინტერვიუ უკრაინის ყოფილ პრეზიდენტთან ლეონიდ კუჩმასთან, რომელიც 2004-2005 წლის ნარინჯისფერი რევოლუციის შესახებ ყვება, ხოლო მისი მომდევნო პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო კი იხსენებს, როგორ მოწამლეს ის დიოქსინით. სწორედ ამ მოვლენებს ბევრი რუსი პოლიტოლოგი პუტინის მმართველობისათვის გარდამტეხს უწოდებს, როცა პუტინმა კურსი შიდა პოლიტიკის გამკაცრებაზე აიღო.

მესამე სერიას „ომი“ ეწოდება და ის მთლიანად რუსეთ-საქართველოს ომს მიეძღვნება. აქ მოისმენთ ინტერვიუს მიხეილ სააკაშვილთან, თუ როგორ მიიღებოდა დაძაბულ მომენტებში გადაწყვეტილებები. ფილმის ავტორები ყვებიან, თუ რა უძღოდა წინ კონფლიქტს, მააგალითად, ესაა საქართველოს ნატოში შესვლასთან დაკავშირებული მოლაპარაკება, რომელსაც ამერიკა და მისი დასავლელი მოკავშირეები აწარმოებდნენ. აღნიშნულია, რომ საქართველოს ალიანსში მიღებას ემხრობოდა ჯორჯ ბუში უმცროსი, მაშინ, როცა გერმანია და საფრანგეთი, ამას, მხოლოდ იმიტომ ეწინააღმდეგებოდნენ, რომ მიაჩნდათ, ასეთი ნაბიჯი დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთოებების კარდინალურ გაუარესებას გამოიწვევდა.

ბოლო სერია „ახალი დასაწყისი“ 2008 წელს პუტინის მედვედევით ჩანაცვლებაზე მოგვითხრობს, ფილმში საუბარი იქნება „გადატვირთვის პოლიტიკაზე,“ ასევე, იმაზე, რომ მედვედევი ვერ იქცა დამოუკიდებელ ლიდერად და რომ ყოველივე ამის შედეგად, პრეზიდენტის კანდიდატი დღესაც ისევ ვლადიმერ პუტინია. ესაა მცირე ინფორმაცია იმ სარეკლამო რგოლებიდან და ანონსებიდან, რომელიც ფილმის შესახებ გაკეთდა.

**თეა ინასარიძე,**
Presa.ge

---

## დედამიწის ზურგზე



**ბარაკ ობამა გამოძახებულია სასამართლოში მისი დაბადების ადგილზე ეჭვის გამო**

მოსმენა დანიშნულია ხუთშაბათისთვის ატლანტის სასამართლოში. მოსარჩელე, ვინც საჩივარი შეიტანა, მიიჩნევს, რომ ობამა არ დაბადებულა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაშასადამე, არ ჰქონდა და არც აქვს უფლება კენჭი იყაროს ქვეყნის პრეზიდენტობაზე. ამგვარი ხმები გავრცელდა დიდი ხნის წინათ და გამწვავდა მორიგი არჩევნების წინა პერიოდში.

* * *

**ტოკიო გამოაცხადეს მომავალი ძლიერი მიწისძვრების ეპიცენტრად**



მეცნიერები მიიჩნევენ, რომ შარშან მარტში ძლიერი მიწისძვრის შემდეგ სეისმური სურათი შეიცვალა და კონტოს რაიონი, რომელშიც განთავსებულია დედაქალაქი, უახლოეს ოთხ წელიწადში კვლავ შეიძლება ძლიერი რყევების ცენტრში აღმოჩნდეს. მარტიდან დეკემბრამდე ტოკიოში დღეში ხდებოდა 1,48 მიწისძვრა 3-დან 6 მაგნიტუდამდე.

* * *

**ხორვატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ევროკავშირთან შეერთებას**



რეფერენდუმი გაიმართა: საარჩევნო ბიულეტენების 98 პროცენტის დამუშავების შემდეგ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა მოქალაქეთა 66,24 პროცენტმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვირის აზრის გამოხატვაში. წინააღმდეგ წავიდა 33,17 პროცენტი. 2013 წელს ხორვატია ევროკავშირის 28-ე სრულუფლებიანი წევრი გახდება.

* * *

**ფინელებმა ვერ აირჩიეს პრეზიდენტი 8 კანდიდატიდან. წინ მეორე ტურია**

ბრძოლას გააგრძელებენ მმართველი კონსერვატიული ეროვნული კოალიციური პარტიის წარმომადგენელი, პარლამენტის ექსსპიკერი საული ნიინისტე, რომელმაც 37 პროცენტი მოაგროვა და ამ არჩევნების „შავი მხედარი“, მთავრობაში წარმოდგენილი „მწვანეთა კავშირის“ პარტიის კანდიდატი პეკა ჰაავისტო – მან ხმების 18,8 პროცენტი მოაგროვა.



* * *

**გვატემალაში ღამის კლუბის სტუმრები დაცხრილეს – 8 კაცი დაიღუპა, 20 დაიჭრა**

ინციდენტი მოხდა ქალაქ ვილიანუევას კლუბში, რომელიც დედაქალაქიდან ახლოს მდებარეობს. უცნობ შეიარაღებულ პირთა ჯგუფი შეიჭრა გადავსებულ კლუბში და გახსნა უწესრიგო ცეცხლი ავტომატებიდან. კლუბი დაიკეტა.

◉ კვალი დროში

# კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება ბოროტებას ებრძოდა



**წლები მართლაც მისი მთავარი სიმდიდრეა.**

**ხანგრძლივი წუთისოფელი ისე ბარაქიანად მოივარგა და მოიჭირნახულა, 85 წლის ასაკშიც საფიქრალ-საზრუნავი არ ელევა და ახალი წიგნის შექმნაზე ოცნებობს.**

**აზროვნებს შესანატრი სიზუსტით. წერს უბრალოდ და გასაგებად, ცხოვრობს ოჯახისა და მეგობრების გულწრფელი სიყვარულით. ეტრფის სიცოცხლის მშვენიერებას და საკუთარ უმწიკვლო წარსულს.**

არადა, გაგიკვირდებათ როცა შეიტყობთ, რომ ეს სიკეთით, უბრალოებით და შინაგანი სულიერი სიმდიდრით გამორჩეული კაცი 37 წლის განმავლობაში იყო ყველაზე „მრისხანე“ პროფესიის ადამიანი – პროკურატურისა და სასამართლოს ხელმძღვანელი მუშაკი. თანაც, მოღვაწეობდა საბჭოთა ეპოქაში, 1949 წლიდან მოყოლებული ვიდრე ოთხმოციანი წლების ბოლომდე... გამოიარა სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის და თითოწლიანი ზერიკაცი გენმდივნების ურთულესი ეპოქები, ხან სიმწრით ტიროდა და ხანაც (მაგალითად – ხრუშჩოვის სისულელეებზე!) სიმწრით იცინოდა... პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა არასდროს დაუკარგავს, სული ეშმაკისთვის არასოდეს მიუყიდია და ბოლომდე მართლგამკითხავი, სამართლიანი, პრინციპული კაცის სახელი დაიგდო.

აბელ გეგიას პიროვნულ ფენომენთან დაკავშირებით სიტყვა „უმწიკვლოს“ ერთობ პრაქტიკული დანიშნულება აქვს. ისეთ ოჯახში აღიზარდა (იმერელი გეგიაა, ვანის რაიონის სოფელ რომანეთიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმ წლებში (1944-49) ეუფლებოდა იურისტის პროფესიას, იმდენად უყვარდა წიგნი და მაშინდელი ჭკუით გაპენტილი ლექტორების ლექციების მოსმენა, იმთავითვე მიხვდა, რომ მთავარია სამართლიანობა, კანონის დაცვა, კანონის უზენაესობა, კანონის სახელით თითოეული ადამიანის დაცვა!..

**მცირე დეტალი აბელ გეგიას ყმაწვილკაცობიდან:** 1949 წლის ზაფხულია. სტუდენტი იურისტები სახელმწიფო გამოცდებს აბარებენ. გამოცდებს ესწრება საქართველოს მაშინდელი პროკურორი ვლადიმერ შონია – განსაკუთრებით პერსპექტიული ახალგაზრდები უნდა შეარჩიოს!.. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იყო ცნობილი იურისტი, პროფესორი დავით ენუქიძე.

– ვინ მეტყვის, რა უპირატესობა აქვს ახალ ეკონომიკურ ფორმაციას ძველთან შედარებით? – სვამს კითხვას პროფესორი.

ერთხანს აუდიტორია გაირინდა, ხელი არავინ ასწია. აბელ გეგიამ იცის ზუსტი და ლაკონიური პასუხი, მაგრამ ისიც არ იწევს ხელს – მეტიჩრობაში ჩამომართმევენო...

– გეგია, ნუთუ შენც არ იცი ამ შეკითხვის პასუხი? – ნერვიულობს პროფესორი.

აბელ გეგია მორიდებით წამოდგა, სახეზე ალმური მოედო და აღელვებულმა თქვა: ახალი ეკონომიკური ფორმაცია იმით სჯობს ძველს, რომ ის შრომის მეტ ნაყოფიერებას ქმნის... ასე მარტივად განმარტავს ამ უპირატესობას მარქსის „კაპიტალი“...

– პროფესორს გულწრფელად ესიამოვნა, ჩათვლის წიგნაკი გამომართვა და ფრიადი ჩამიწერა... რესპუბლიკის პროკურორმა კი ყველას გასაგონად მითხრა: დიპლომს რომ აიღებ, ჩემთან შემოიარე, ვინ იცის, იქნებ დიდ გზაზე გასვლა შესძლოო...

1949 წლის აგვისტოში უმაღლესდამთავრებული აბელ გეგია მართლაც მივიდა ქვეყნის მთავარ პროკურორთან. მან უმალ იცნო სიმპათიური და თავაზიანი ყმაწვილი და საკუთარ მოადგილეს ივანე რაფავას (ცნობილი ავქსენტი რაფავას ძმას) დაავალა: ეს ბიჭი თბილისში, ჩუღურეთის (მაშინდელი მოლოტოვის) რაიონის პროკურატურაში გამომძიებლად დავნიშნოთ, პრაქტიკულ გამოცდილებას მიიღებს და დაოსტატდებაო!..

ასე დაიწყო აბელ გეგიას სიმართლისმსახურება, დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლა, ვაჟკაცური და ურთულესი პროფესიის ლაბირინთებში წვდომა.

ერთი წლის შემდეგ აღლოიანი და განათლებული იურისტი იმავე რაიონის პროკურორის თანაშემწედ გადაიყვანეს, 1951 წელს კი დააწინაურეს თბილისის პროკურატურაში მილიციის ორგანოებზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად. მალე ზუგდიდში მიავლინეს და რაიონის პროკურორობა ანდეს, მაგრამ... მეგრულის არცოდნის გამო ისევ უკან გამოიძახეს, აღგილობრივი მოსახლეობა არ გაღიზიანდეს და ახალგაზრდა პროკურორს მუშაობა არ გაუჭირდესო.

1954 წელს აბელ გეგიას დუშეთის რაიონის პროკურორად ამტკიცებენ. თუმცაღა, ვიდრე ეს მოხდებოდა რაიკომის პირველი მდივანი ალექსი ბექაური „ბობოქრობდა“, – დუშეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე 300 სოფელია, მათი უმრავლესობა ჯერაც უგზოობით იტანჯება, ეს 28 წლის მაღალი, გამხდარი, ინტელიგენტი ბიჭი ცხენით ვერ იჯაგჯაგებსო!..

მაგრამ, თბილისმა ა. ბექაურის აზრი არ გაითვალისწინა და აბელ გეგია დუშეთის რაიონში გაგზავნეს... მალე გამოჩნდა, რომ მაღალი, გამხდარი პროკურორი დაუღალავი, ენერგიული, ზნეკეთილი და პრინციპული ახალგაზრდაა და, თუ საკუთარ თავში დარწმუნებულია, არავის დაკრულზე არ ცეკვავს.

როცა ბაზალეთის რადიოქარხანაში სერიოზული დანაშაული მოხდა და საკვებით ინტოქსიკაციას რამდენიმე კაცი შეეწირა, უწინარესად ა. ბექაურის უმკაცრესი პასუხისმგებლობის საკითხი დადგა. ახალგაზრდა პროკურორი ფარივით გადაეღობა ზემდგომთა (მაშინ ყოველ დანაშაულზე პირველ პირს ათავისუფლებდნენ, ან პარტიიდან რიცხავდნენ!) გადაწყვეტილებას, რესპუბლიკის პროკურორს და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წინ დაუდო რაიკომის პირველი მდივნის კაიკაცობის და აბსოლუტური უდანაშაულობის ფაქტები და ა. ბექაური დასჯას გადაარჩინა... ამის შემდეგ გეგია და ბექაური საბოლოოდ დამეგობრდნენ. ვაჟკაცი ალექსი ბექაური წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონის თავკაცად...

ზოგადად, აბელ გეგიას აქვს ერთი გამორჩეული თვისება: **ის ადამიანში უპირველესად ადამიანს ეძებს, თვალის ჩინივით უფრთხილდება მეგობართა და მასწავლებელთა სახელებს, მუდამ ცდილობდა და ცდილობს, ერთი ციდა სიკეთე დაინახოს და სიკეთითვე გადაუხადოს...** დღევანდელი გადასახედიდან აბელ გეგია თვალცრემლიანი იგონებს პროფესორ დავით ენუქიძის და პროკურორ ვლადიმერ შონიას ღვაწლს ერთი ღარიბი, სოფლელი ბიჭის „აღმოჩენასა“ და დაწინაურებაში...

წლების შემდეგ, როცა დავით ენუქიძე პენსიაზე გავიდა და გლდანის პატარა მამულში, გენიალური ფილოსოფოსის და საზოგადო მოღვაწის შალვა ნუცუბიძის გვერდით ჩასახლდა, აბელ გეგიამ კითხვა-კითხვით იპოვნა საყვარელი პროფესორი და უგულითადესი მადლობა გადაუხადა 1949 წელს გამორჩენილი ყურადღებისთვის.

ასევე „მეგრელთა საქმეს“ ლამის შეწირული და მერე რეაბილიტირებული და აფხაზეთის პროკურატურაში გადაყვანილი ვლადიმერ შონია სოხუმში მოინახულა აბელ გეგიამ და ჯეროვანი პატივი მიაგო... თუმცაღა, მრავალჭირგადანახად პროკურორს მაინც არ დავიწყებია უმცროსი კოლეგის მიერ უარყოფილი მისი „სარფიანი“ წინადადება პეტერბურგში (ლენინგრადში) სასწავლებლად გაგზავნის შესახებ... მაშინ, 1952 წელს, აბელ გეგიას ცოლი და მცირეწლოვანი ვაჟი ჰყავდა, ლენინგრადის საერთო საცხოვრებელში კი მათი წაყვანა ვერ გაბედა და ამიტომაც სთხოვა ვლადიმერ შონიას, იქნებ ლენინგრადში არ გამიშვათო! აბელს თხოვნა კი შეუსრულა მთავარმა პროკურორმა, მაგრამ... გულის სიღრმეში მაინც იწყინა: შენი კარიერისთვის აჯობებდა, სწავლა უნდა მოგეხერხებინაო...

მართლაც რამდენი ჯანსაღი და კეთილი ადამიანი ემსახურებოდა ამ „მრისხანე“ პროფესიას.

დუშეთის შემდეგ აბელ გეგია წლების განმავლობაში იყო თელავისა და გორის სარაიონთაშორისო ტერიტორიული გაერთიანების (ქალაქებისა და რაიონების) პროკურორი, თბილისის კრწანისის და ისან-სამგორის რაიონების პროკურორი, 1970-77 წლებში მუშაობდა ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ...

რა შთამბეჭდავი კარიერაა, სამშობლოსადმი, ხალხისადმი, კანონისა და სამართლის აღსრულებისადმი მიძღვნილი რა ტევადი ჩამონათვალია.

მთავარზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში ვერც ერთ რაიონსა და ქალაქში, სადაც მას უმუშავია, ვერ იპოვით ადამიანს, რომელიც პროკურორსა და მოსამართლე აბელ გეგიაზე მისი უსამართლო თუ ანგარებიან-მიკერძოებული გადაწყვეტილებით განაწყენებული იყოს.

ცხოვრებამ, პროფესიამ, წიგნის სიყვარულმა, რომანტიკულმა ხასიათმა მას უდიდესი გამოცდილება შესძინა. 1986 წელს ჯან-ღონით სავსე, მაგრამ მაინც საპენსიო ასაკს მიღწეულ აბელ გეგიას საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დიდი დამსახურებისთვის დაენიშნა პერსონალური პენსია...

ამის შემდეგ დაჯდა ეს გონიერი კაცი და საკუთარი ცოდნა-გამოცდილება ქაღალდზე გადაიტანა... შექმნა და გამოსცა ექვსი სხვადასხვა სახის სამეცნიერო და პოპულარული წიგნი – **„ქმნა მართლისა სამართლისა“, „წარსულიდან მომავლისკენ“, „ვარდებით მოტანილი მართლმსაჯულება“, „სამშობლოს სამსახურში“, „დედის მონატრება“, „ქართველი ქალი – ერის მშვენიერება და სიამაყე“...**

დღეს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, იუსტიციის უფროსი მრჩევლის, იუსტიციის პოლკოვნიკის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის აბელ გეგიას ერთ-ერთი უპირველესი, დღესაც საოცრად აქტუალური სამეცნიერო ნაშრომი 50 წლის წინათ შეიქმნა და მას ჰქვია **„დეპუტატის გაწვევის უფლება – სახელმწიფო სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი“**. მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა სერიოზულ, დღევანდელი საქართველოსთვის თავსატეხ პრობლემას არის შეჭიდებული ავტორი.

აბელ გეგია სიმართლით, რწმენით სავსე კაცია, ამიტომაც გაუძლო ამდენს, ამიტომაც მოივარგა და მოიჭირნახულა ასე ვაჟკაცურად ეს ცბიერი, მუხთალი და უსწორმასწორო წუთისოფელი.

**აბელ გეგია დღევანდელი ახალგაზრდობისთვის, უმცროსი კოლეგებისთვის სამაგალითო კაცია, რადგანაც სჯერა, რომ „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, გინდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს!“**

**მოდი, და ნუ გაითვალისწინებ!..**

ლაშა ქოზულაძე

◉ მკითხველთა გულისწყრომა

## „თელასის“ საყურადღებოდ: რა ხდება დედაქალაქის შუაგულში?!

პატივცემულო „თელასის“ მესვეურნო, რა ხდება დედაქალაქის შუაგულში, მაგალითად, თაბუკაშვილის (ყოფილი ძნელაძის) ქუჩაზე, რატომ ითიშება ელექტროენერგია ასე ხშირ-ხშირად?! ამ, ჩვენთვის საჭირბოროტო კითხვაზე, „დაბალ რანგში“, ანუ „თელასის“ რაიონულ განყოფილებაში, მხოლოდ ერთადერთი პასუხი აქვთ: „კაბელი გასკდა და ბრიგადა გამოსულია შესაკეთებლად!“

თქვენ იცით, რომ თაბუკაშვილისა და მიმდებარე ქუჩების მცხოვრებთ, ახალწლის ღამეს, თითქმის არ გვქონია დენი! რუსთაველისა და ალმაშენებლის პროსპექტების გაჩახჩახების გამო გადაიტვირთა კაბელი და ამიტომაც სკდებაო, გვიპასუხეს ტელეფონით, როდესაც 1-ში ნაშუადღევს და 2-ში დილით ისევ ითიშებოდა სინათლე. მას შემდეგ ბარე ორჯერ გაითიშა, ახლაც ამ საყვედურიანი კილოთი რომ მოგმართავთ, თითქმის ორი საათია სინათლე არ გვაქვს... კაბელი გასკდაო, გვიპასუხეს ტრადიციულად ტელეფონით.

გაარკვიეთ ეგ საქმე, ბატონებო!.. დედაქალაქის ცენტრში რომ უდენობის გამო ასე წვალობს და ბუზღუნებს (ხშირად მიშასაც აგინებს) მოსახლეობა, გარეუბნებში რა ამბავი იქნება, წარმოგვიდგენია... არადა, არჩევნები წინ უქევს „ნაცმოს“ და, ბიჭოს, თქვენ ხელს უშლით?!

თაბუკაშვილის ქუჩის მცხოვრებლები

2012 წლის 20 იანვარი
ქ. თბილისი

**მოსაწვევი**

**ამხანაგობა „წერეთლის 142“-ის მესაკუთრეთა ამხანაგობის დამფუძნებელ კრებაზე**

პატივცემულო თანამესაკუთრეებო უძრავი ნივთისა (ს/კ 01.13.04.017.037), მის.: თბილისი, აკ. წერეთლის 142:

გაცნობებთ, რომ 2012 წლის 03 თებერვალს 18:00 საათზე ქ. თბილისში, აკ. წერეთლის 142-ში მოწვეულია თანამესაკუთრეთა ამხანაგობის დამფუძნებელი კრება.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობის შექმნა;
2. ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა;
3. ამხანაგობის წესდების დამტკიცება;
4. მიწის ნაკვეთის გამიჯვნის ხელშეკრულების გაფორმება.

გთხოვთ, მობრძანდეთ.

საინიციატივო ჯგუფის სახელით
ადვოკატი მალხაზ დოლენჯაშვილი
577 529937 zvani@hotmail.com

ჭადრაკი

# გიბრალტარში — მეათედ

**დღეს გიბრალტარში საიუბილეო — მოჭადრაკეთა მე-10 საერთაშორისო ფესტივალი (საპრიზო ფონდი 150 000 ევრო) დაიწყება, რომელმაც მსოფლიოს 500-მდე წარმომადგენელს მოუყარა თავი.** მთავარ ტურნირში საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების წევრებიც — ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე და სალომე მელიაც ითამაშებენ. საგულისხმოა, რომ შარშან 10 შესაძლებლიდან 7-7 ქულით ქალებში პირველ-მეორე ადგილები ძაგნიძემ და მელიამ



დაიკავეს. ამჯერად მათ მეტოქეობას გაუწევენ სახელოვანი მოჭადრაკეები — ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჰამფი კონერუ (ინდოეთი), მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ორგზის ევროპის ჩემპიონი პია კრამლინგი (შვედეთი), კონტინენტის მრავალგზის პრიზიორი ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) და სხვები. მთავარი პრიზის მაძიებელთა შორის კი ისეთი აღიარებული დიდოსტატები არიან, რომელთა რეიტინგმა 2700-ს, კარგა ხანია, გადაამეტა. ესენი გახლავთ: პიოტრ სვიდლერი (რუსეთი), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), ზოლტან ალამაში, იუდით პოლგარი (ორივე — უნგრეთი), ალექსეი შიროვი (ლატვია)...

**გივი გაგუა**

# ლიდერობს დუეტი

**ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში გრძელდება საჭადრაკო ფესტივალი, გაიმართა დიდოსტატთა 21-ე კატეგორიის ტურნირის შეხვედრები.** მე-6 ტურში არონიანმა (სომხეთი) დაამარცხა გაშიმოვი (აზერბაიჯანი), მასპინძელმა გირიმ სძლია კამსკის (აშშ), გელფანდი (ისრაელი) დამარცხდა ნაკამურასთან (აშშ), რაჯაბოვმა (აზერბაიჯანი) დაამარცხა კარიაკინი (რუსეთი), ყაიმზე შეთანხმდნენ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ივანჩუკი (უკრაინა), კარუანა (იტალია) — ვან ველი (ჰოლანდია), ნავარა (ჩეხეთი) — კარლსენი (ნორვეგია).

მე-7 ტურში კარიაკინმა დაამარცხა ტოპალოვი, კარლსენმა — გელფანდი, კამსკიმ — ნავარა. ყაიმზე შეთანხმდნენ ნაკამურა — რაჯაბოვი, ვან ველი — გირი, გაშიმოვი — კარუანა, ივანჩუკი — არონიანი.

7-ტურის შემდეგ ტურნირზე 5-5 ქულით ლიდერობენ კარლსენი და არონიანი, რაჯაბოვს 4,5 ქულა აქვს, 4-4 ქულით შემდეგ მოდიან კარუანა, გირი, ივანჩუკი, ნაკამურა, ვან ველის 3,5 ქულა აქვს, 3-3 ქულა — ტოპალოვს, კარიაკინსა და კამსკის, გელფანდს — 2,5, გაშიმოვს — 2 და ნავარას — 1,5 ქულა.

სამთო თხილამურები

# ქართველები - კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე



**გასულ უქმეებზე მსოფლიოში ზეიმით აღინიშნა თოვლის საერთაშორისო ფესტივალი. ქართველებმა ეს დღე 21 იანვარს გუდაურში იდღესასწაულეს.** სათხილამურო სპორტის ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და თბილისის მერიის ხელშეწყობით გამართულ ღონისძიებაზე, ფაქტობრივად, მთელმა საქართველომ მოიყარა თავი. თუმცა მასში არ უასპარეზიათ საქართველოს ნაკრების წევრებს, რომლებიც ამჟამად უცხოეთში იმყოფებიან. ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადის მონაწილე ნინო წიკლაურმა და ალექსი ბენიაიძემ იტალიის კურორტ პეკოლ დი ზოლდოზე მოსინჯეს ძალები. გიგანტურ სლალომში ორივემ პირველი ადგილები დაიკავა. წინა დღეს ბენიაიძე სლალომში მეორე იყო — მასპინძელ ჯოვანი მისონის 0,01 წამით ჩამორჩა.

**ლაშა დიდია**

ძიუდო



# დაბრუნება ერთი წლის შემდეგ

**შარშან იანვრის მიწურულს ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც გივი კარტოზიას სახელობის სპორტის სასახლემ უმასპინძლა, დიდი სპორტიდან გააცილეს 2004 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური (90 კგ). გავიდა წელიწადი და სახელოვანი ფალავანი ტატამს უბრუნდება — 28-29 იანვარს ისევ სპორტის სასახლეში მსოფლიოს თასზე მოსინჯავს ძალებს. 30 წლის მოჭიდავეს ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვება აქვს დასახული მიზნად. განვლილი ერთი წელიწადი მას უქმად არ გაუტარებია. ტრავმის მოშუშების შემდეგ ტატამზე იდგა — ჯერ როგორც ნაკრების მეორე მწვრთნელი, მერე კი თავადაც განაახლა ვარჯიში. ნაკრებს ახლდა იაპონიაში მასპინძლებთან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე, ახლა კი ორკვირიანი შეკრება თანაგუნდელებთან ერთად ავსტრიაში გაიარა.**

შეძლებს კი ზვიადაური თავის საუკეთესო წლებში დაბრუნებას და უწინდებურად ძომაგების გახარებას, ამას ხუთიოდე დღეში შევიტყობთ.

რადგან თბილისის ტურნირს შევეხეთ, აქვე გეტყვით, რომ მომავალ შაბათ-კვირას ტატამზე ვერ ვიხილავთ ევროპის ჩემპიონატის მე-2 პრიზიორ ლომერ ჭორჭოლიანს (100 კგ) და ვალერი ლიპარტელიანს (90), რომლებიც ევროპის უფრო პრესტიჟული ტურნირისთვის ემზადებიან. მსოფლიოს და ოლიმპიურ ჩემპიონ ირაკლი ცირეკიძეს ჯერ ტრავმა არ მოუშუშებია. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო გამოირიცხა ამირან პაპინაშვილისა (60) და გიორგი ზაინდურაშვილის (81) ტურნირში მონაწილეობა.

აი, ვინ იჭიდავებს 28-29 იანვარს სპორტის სასახლის ტატამზე: **60 კგ.** ბეთქილ შუკვანი, პაატა მერებაშვილი, იოსებ ნიჟარაძე, გიორგი მესაბლიშვილი ან ვაჟა მარგველაშვილი; **66 კგ.** შალვა ქარდავა, ლაშა შავდათუაშვილი, დავით ასუმბანი, სანდრო იაკობაშვილი; **73 კგ.** ამბაკო ავალიანი, ნუგზარ ტატალაშვილი, თენგიზ პაპოშვილი, ზებედა რეხვიაშვილი; **81 კგ.** ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური, დავით კარბელაშვილი, პაატა ლვინიაშვილი; **90 კგ.** ზურაბ ზვიადაური, ლაშა გურული, გიორგი ნოზაძე, ბეთქილ შუკვანი; **100 კგ.** ირაკლი ძოგლიანიძე, ონისე ბულაძე, ბექა ბერძენიშვილი, ალექსანდრე მსხალაძე; **მძიმე წონა.** ზვიად ხანჯალიაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი, ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი.

**ლექსო ცინცაძე**

სუმო

# „მებრძოლი სულის“ ქართველი ვიცეჩემპიონია

**იაპონიაში დამთავრდა სუმოისტთა წლის პირველი ტურნირი — იანვრის ბაშო, რომლის უმაღლეს დივიზიონში ორი ქართველი გამოდიოდა. შესანიშნავად იასპარეზა თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ). 24 წლის გოლიათმა (185 სმ, 199 კგ) 15-დან 12 შეხვედრა მოიგო და სახელოვან ჰაკუჰოსთან ერთად ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა, თანაც მებრძოლი სულის პრიზი მეორედ დაიმსახურა. იმპერატორის პრიზი კი პირველად ერგო ესტონელ ბარუტოს, რომელმაც ტურნირზე მხოლოდ ერთი პაექრობა დათმო.**



გვასახელა ლევან გორგაძემაც (ტოჩინოშინი), რომელმაც 10 შეხვედრა მოიგო 5 მარცხის წილ. ორივე ქართველი სუმოისტი მომავალი ბაშოსთვის რეიტინგში წინ წაიწევს. თანამემამულეებს, სამწუხაროდ, მხარი ვერ აუბა ძიურიოს დივიზიონში მოასპარეზე ლევან ცაგურიამ (კოკაი) — „შავმა ზღვამ“ ტურნირი უარყოფითი ბალანსით (7-8) დაასრულა და, ცხადია, ზედა ეშელონში ვერ დაწინაურდება.

ინტერნეტიდან

## „ჩელსის“ ფეხბურთელი მოკლეს



**ლონდონის „ჩელსის“ ყოფილი მცველი ჯეფრი ნტუკა შაბათს მოკლეს სამხრეთ აფრიკულ ქალაქ კრუნსტადტში. სამხრეთ აფრიკის ნაკრების 26 წლის მოთამაშე სასიკვდილოდ გაიმეტეს მისი სატრფოს სახლთან. ის გაჩერდა პაპიროსის მოსაკიდებლად უცნობთა კამპანიასთან. ისინი შელაპარაკდნენ, როგორც ეს ხდება აფრიკის კრიმინალურ რაიონებში, მათი შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა.**

დისკუსიის ერთმა მონაწილემ, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად დანა იშიშვლა და ფეხბურთელს მკერდში ჩაარტყა. სპორტსმენი მაშინვე გარდაიცვალა.

ნტუკამ სპორტული კარიერა „ჩელსიში“ 2003 წელს დაიწყო, თუმცა მინდორზე ხშირად არ უშვებდნენ, რის გამოც ფეხბურთელმა საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო და სამშობლოში დაბრუნდა.

## რიკელმე ფერმაში მიდის

**ყველაზე სექსუალური გულშემატკივარი პარაგვაის ფეხბურთის ნაკრებისა, ლარისა რიკელმე, შესაძლოა, დიდი ხნით გაშორდეს თავის შეყვარებულს — არგენტინული „სეროპორტენიოს“ ნახევარმცველს ჟონათან ფაროს, თუკი ის ახლო ხანში დათანხმდება შეთავაზებას, გახდეს ევროპაში ძალზე პოპულარული რეალითი-შოუს „ფერმა“ მონაწილე. პარაგვაელი მოდელი დაიღალა შოუში „ცეკვები ოცნების შესახებ“ მონაწილეობით, რომელსაც სამხრეთ ამერიკის მამაკაცური აუდიტორიის ნახევარზე მეტი უყურებს, და რიკელმემ ექსტრემი მოინდომა. ბრაზილიის ტელევიზიის ახალ პროექტში კი ექსტრემი საკმარისზე მეტი იქნება. ორიგინალში, პროდიუსერის ჩანაფიქრით, ექვსი მამაკაცი და ექვსი ქალი დიდხანს უნდა დარჩნენ ცივილიზაციიდან შორს. იქ ისინი უნდა დაეუფლონ ძროხების წველას, ღორების კვლას, ცხვრის პარსვას, გუთნით ხვნასა და სხვა მისთანებს. ყოველივე ეს კი მილიონი დოლარის საფასურად, თუკი შოუში გაიმარჯვებენ.**



ასე რომ, რიკელმე აპირებს სუფთა ჰაერზე ყოფნასა და თავისი გამძლეობის შემოწმებას. ალბათ, რიკელმეს თაყვანისმცემლები გაიხარებენ ლამაზმანის ასეთი გარდაქმნით. არ ვიცით, როგორ გაუძლებს ყოველივე ამას ლამაზმანის ბოიფრენდი ფარო, რომლის კარიერა სულ მაღლა მიდის ლარისასთან შეხვედრის შემდეგ.

ფეხბურთი

# წლისა და საუკუნის საუკეთესონი

**ეს ორი ნაკრები შეადგინეს უეფას ოფიციალური საიტის გამომყენებლებმა.** ევროპის ნაკრებში 4,5 მილიონი ხმის გადათვლის შემდეგ შევიდა 8 ესპანელი ფეხბურთელი. საერთოდ კი ნაკრები ასე გამოიყურება — **კასილიასი** („რეალი“), **დანიელ ალვეში, პიკე** (ორივე — „ბარსელონა“), **ტიაგუ სილვა** („მილანი“), **მარსელუ** („რეალი“), **რობენი** („ბავარია“), **ხავი, ინიესტა** (ორივე — „ბარსელონა“), **ბეილი** („ტოტენჰემი“), **მესი** („ბარსელონა“), **კრიშტიანუ რონალდუ** („რეალი“), მთავარი მწვრთნელი **ხოსეპ გვარდიოლა** („ბარსელონა“).

**უეფამ ასევე შეადგინა 21-ე საუკუნის 11 წლის ნაკრებიც.** მასში შევიდნენ **კასილიასი** (5 ხმა), **დანიელ ალვესი** (3), **ნესტა** („მილანი“ — 4), **ტერი** („ჩელსი“ — 4), **პუიოლი** („ბარსელონა“ — 6), **კრიშტიანუ რონალდუ** (6), **ინიესტა** (3), **ხავი** (4), **ზიდანი** („იუვენტესი“ — „რეალი“ — 3), **ანრი** („არსენალი“ — 5), **მესი** (4). მთავარი მწვრთნელი — **ჟოზე მოურინიუ** („პორტუ“, „ჩელსი“, „ინტერი“, „რეალი“ — 4).

ჩვენი კარაბადინი

# ტვინს ნუ შევეხებით!

## ინსულტების ორი მესამედი შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა

**ადამიანი ცოცხლობს მანამდე, სანამ მისი გული ცემს. მაგრამ იგი, როგორც პიროვნება, არსებობს, სანამ ჯანსაღია მისი ტვინი – სწორედ ამ ორგანოს უწოდებენ ორგანიზმის უმაღლეს მთავარსარდალს. როგორ ავიცილოთ თავიდან ტვინის კატასტროფები? და შესაძლებელია მთლიანად აღვდგეთ ამ კატასტროფების შემდეგ?**

ამის შესახებ არის ჩვენი საუბარი რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან, გადაუდებელი ნეიროქირურგიული კლინიკის ხელმძღვანელთან ვლადიმერ კრილოვთან.

**– რუსეთში ყოველწლიურად 450 ათასი ინსულტი ხდება, ვინ შეადგენს რისკის ჯგუფს? და რომელ პაციენტებს აქვთ ყველაზე არახელსაყრელი პროგნოზი?**

– სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალნენ. ერთი სულ ეწეოდა და სპორტს არ მისდევდა, მეორე იყო მსუქანი, მესამე – გამხდარი და ენერგიული. ყველაზე ადრე – 63 წლისა – გარდაიცვალა გამხდარი და მოძრავი ფრანკლინ რუზველტი, მეორე წავიდა სტალინი – 73 წლისა, სქელმა ჩერჩილმა კი იცოცხლა ღრმა სიბერემდე – 90 წლამდე. თუმცა ნებისმიერი ექიმი გეტყვით, რომ ყველაფერი პირიქით უნდა მომხდარიყო.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ერთი რამ: ინსულტების ორი მესამედი შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა. ამისთვის არის ყველა შესაძლებლობა.

რისკის ძირითადი ჯგუფი – ესენია პაციენტები ძილის არტერიების სტენოზით (შევიწროებით). ეს პრობლემა ადვილად ვლინდება ულტრაბგერითი გამოკვლევებისა და მაგნიტურ-რეზონანსული ანგიოგრაფიის დახმარებით და თავიდან ვიცილებთ მას მარტივი ოპერაციის შედეგად. ამ გამოკვლევას თუ სავალდებულოს გავხდით 50 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის, მოულოდნელი სიკვდილისა და ინვალიდობისგან შეიძლება ათობით ათასი ადამიანის გადარჩენა.

ყოველწლიურად 40 ათასი კაცი კვდება ტვინში სისხლის ჩაქცევით მაღალი წნევის ფონზე. წნევაზე კონტროლის ელემენტარულ წესებს თუ დავიცავთ და არ მოვახდენთ მისი აწევის პროვოცირებას – ამ ხალხის გადარჩენაც შეიძლება.

ხშირად ელვისებური სიკვდილით მთავრდება ტვინის არტერიების ანევრიზების გასკდომა. ანევრიზმის შეგრძნება შეუძლებელია. მაგრამ თუ პირველი რიგის ნათესავებს ჰქონდათ ინსულტები – უნდა გაიარო კომპიუტერული დიაგნოსტიკა. ეს პათოლოგია ზოგჯერ მემკვიდრეობით გადაეცემა.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ქვეყნებში გაიხსნა სისხლძარღვების ცენტრები, შეინიშნება ინუსლტების ოდენობის შემცირების ტენდენცია. და როგორც კი გაიზარდა ოპერაციების ოდენობა ინსულტების სხვადასხვა სახეობებთან დაკავშირებით, სიკვდილიანობა მტკიცედ მცირდება.

**– მიაჩნიათ, რომ ინსულტების წინასწარმაუწყებლად ითვლება თავბრუსხვევა და რყევები ტრანსპორტში.**

– თავბრუსხვევა შეიძლება იყოს როგორც გამოჩენილი ინსულტის პირველი სიმპტომი, ისე შუა ყურისა და მხედველობითი ანალიზატორის დაავადების ნიშანი. ამიტომ არ არის საჭირო არც პანიკა, არც გამაფრთხილებელ სიმპტომებზე ხელის აქნევა. უმჯობესია მივმართოთ ექიმს, რომელიც განსაზღვრავს გამოკვლევის ტაქტიკას.

**– ნეიროქირურგია ამჟამად განიცდის ნამდვილ ტექნოლოგიურ ბუმს...**

– ანდრეი მირონოვი თავის ტვინის ანევრიზმის გასკდომისგან გარდაიცვალა – მას არადიაგნოსტიკური სისხლძარღვოვანი პათოლოგია ჰქონდა. ახლა კომპიუტერული და მაგნიტორეზონანსური ტომოგრაფიის წყალობით ის ადვილად შეინიშნება და გამაფრთხილებლად იშორებენ თავიდან. ამ გამოკვლევების დახმარებით შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ, რამდენად არის დაზიანებული ტვინი და როგორია მისი აღდგენის ხარისხი.

ქირურგიაში ნამდვილი გარღვევა – ეს არის ნეირონავიგაციის მეთოდი, რომლის წყალობითაც ჩვენ ზუსტად ვსაზღვრავთ დაზიანებული მონაკვეთის ადგილმდებარეობას და ვარჩევთ ყველაზე ნაკლებად ტრავმატულ მიდგომას მისადმი. ვიდეოენდოსკოპის გამოყენებით ჩვენ არ ვჭრით ტვინს, როგორც ადრე, არამედ პუნქციისა (გაჩხვლეტისძ და მსუბუქი გაწევის დახმარებით ვსვამთ ტვინში ოპტიკურ მოწყობილობას, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ტვინის სტრუქტურები იმ ხარისხით, როგორითაც მიკროსკოპით – ეს ქირურგიულ ჩარევას ხდის ნაკლებად ტრავმატულს, თუმცა ისეთსავე ეფექტიანს, როგორც ღია მისვლის ოპერაციაა. თანამედროვე ტექნიკის წყალობით ჩვენ უმრავლეს შემთხვევაში მთელი რწმენით ვაკეთებთ აღდგენითი ხარისხის პროგნოზს.

**– მომისმენია, რომ იმავე ტომოგრაფიაზე ექიმი ზოგჯერ ხედავს პათოლოგიებს, რომლებიც შეუსაბამოა სიცოცხლესთან, – ადამიანი კი ცოცხლობს და თავსაც შესანიშნავად გრძნობს.**

– ადრე ამბობდნენ, რომ მატერია – პირველადია, შემეცნება კი – მეორადიო. ნეიროქირურგიაში ეს აქტუალურია დღესაც. ცვლილებები გროვდება პაციენტისთვის შეუმჩნევლად, შემდეგ კი ხდება რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლა – და ადამიანი მკივანა სირენით მიჰყავთ საავადმყოფოში. ამისთვის არის სწორედ პრევენციული დიაგნოსტიკა, რათა თავიდან ავიცილოთ დაავადება, რომელიც ჯერ მხოლოდ სურათზე მოსჩანს.

### ტვინი გადაარჩენს შემოქმედებას?

**– ბოლო წლებში ნეიროქირურგიას იყენებენ ნარკომანიის სამკურნალოდაც კი.**

– ფსიქიკაზე ქირურგიულ ზემოქმედებას იყენებდნენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-50-იან წლებში. მაშინ ლობოტომიის (ტვინის თეთრი ნივთიერების გაპობაძ დახმარებით კურნავდნენ შფოთიან ავადმყოფებს. ახლა ლობოტომიის მეშვეობით ზოგიერთ კლინიკაში ცდილობენ უმკურნალონ ნარკომანებს. ამ ოპერაციის შემდეგ ადამიანები მართლაც უარს ამბობდნენ ნარკოტიკებზე. მაგრამ ლობოტომიის დროს ხდება ტვინის იმ სტრუქტურებში ჩართვა, რომლებიც ცვლიან ადამიანის ფსიქიკასა და პიროვნების სტრუქტურას.

**– თქვენი პაციენტები იყვნენ ვიტალი სოლომინი, ნიკოლაი კარაჩენცევი, ნატალია გუნდარევა, ვასილი აქსიონოვი, ჟურნალისტი ოლეგ კაშინი. სწორია, რომ შემოქმედებითი ადამიანები ტვინის კატასტროფების შემდეგ უფრო სწრაფად ჯანსაღდებიან?**

– არის დაკვირვებები, რომ აღდგენის, გაჯანსაღების სიჩქარე დამოკიდებულია ადამიანის ხასიათზე. შემჩნეულია აგრეთვე, რომ რაც აქტიურად მუშაობდა ადამიანი ტრავმამდე, მით უფრო სწრაფად ჯანსაღდება მის შემდეგ.

**– თქვენ აწარმოებდით გამოკვლევას, რომელშიც ცდილობდით დაგედგინათ, არსებობს თუ არა კავშირი ტვინის დარღვევებსა და შემოქმედებითს უნარს შორის...**

– გენიოსის ტვინი არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ადამიანის ტვინისგან, ტვინის დარღვევები კი, გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, ხელს არ უწყობენ გენიალურობას. მაგრამ მძიმე ნეიროქირურგიულ დაავადებებსაც არ შეუძლიათ, ხელი შეუშალონ ადამიანს, ეწეოდეს შემოქმედებით ცხოვრებას, ხარობდეს სიცოცხლით. ამის ნათელი მაგალითია – მხატვარი ბორის კუსტოდიევი. მას ხერხემლის სიმსივნე ჰქონდა, რომელმაც ის ინვალიდის ეტლს მიაჯაჭვა, მაგრამ სწორედ ავადმყოფობის პერიოდში პარალიზებულმა ახალგაზრდა კაცმა შექმნა შედევრები და შევიდა ისტორიაში, როგორც ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ადამიანი.

ЗДОРОВЬЕ



**როგორ ავიცილოთ თავიდან ინსულტი?**
**(პრაქტიკული რჩევები)**

**1. თვალყური ადევნეთ წნევას – მისი აწევა ვერცხლისწყლის სვეტის 10 მილიმეტრით ზრდის ინსულტის ალბათობას 1,5-ჯერ, 20 მილიმეტრით – 2-ჯერ.**

**2. უარი თქვით მავნე ჩვევებზე – მათ, ვინც რეგულარულად ღებულობენ ალკოჰოლს, არტერიული წნევა აქვთ უფრო მაღალი, ვიდრე არამსმელებს, ვერცხლისწყლის სვეტის 7 მილიმეტრით.**

**3. შეზღუდეთ ცხოველური ცხიმების მიღება.**

**4. მეტი იმოძრავეთ. ეს არა მხოლოდ აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, არამედ წვავს ზედმეტ ენერგიასაც.**

**5. თუ თქვენს უახლოეს ნათესავებში იყო ინსულტის შემთხვევები, 20 წლის შემდეგ გაიკეთეთ კომპიუტერული ტომოგრაფია.**

**6. 50 წლის შემდეგ გაიარეთ ანგიოგრაფია – შეიმოწმეთ არტერიების მდგომარეობა.**

**7. ავარჯიშეთ მეხსიერება და აზროვნებითი უნარი – ამოხსენით თავსატეხები, დაიზეპირეთ ლექსები.**

---

## განცხადება

**2012 წლის 21 თებერვალს ჩატარდება სს „ქართული შალის“ აქციონერთა საერთო კრება.**

დღის წესრიგი:

1. საზოგადოების 2011 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები;
2. უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ;
3. სხვადასხვა.

**დირექცია**

---

ნომრის კარიკატურა



– დღეს ახალგაზრდობას ძალიან ეშინია ქორწინების.
– სწორად იქცევიან, მე ქორწინებამდე საერთოდ არ ვიცოდი, რა იყო შიში...

ამირან ერაძის ნახატი.

---

ინფორმაცია

## რიკოთით „სარგებლობა“ კვლავ ფასიანი იქნება

**მთავრობის დადგენილების მიხედვით, გვირაბით სარგებლობისთვის საფასურის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა, სავალდებულო იქნება.**

**საფასურის გადამხდელად, ამავე დადგენილებით, რომელიც უკვე ძალაშია, საავტომობილო გვირაბით მოსარგებლე თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ან მძღოლი განისაზღვრა.**

**საავტომობილო გვირაბით სარგებლობისათვის საფასურის ადმინისტრირება, ამ მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, აგრეთვე საფასურის გადახდასთან დაკავშირებული პროცედურებისა და პირობების განსაზღვრა, შემოსავლების სამსახურს დაევალა.**

**ხოლო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საავტომობილო გვირაბით სარგებლობის საფასურის ადმინისტრირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, შემოსავლების სამსახურს შესაბამისი მიწის ნაკვეთი, უსასყიდლო სარგებლობაში უნდა გადასცეს.**

ინტერპრესნიუსი



---

**აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა თანაგრძნობას უცხადებს კლინიკის ღვაწლმოსილ ექიმს ნანი ჩხეიძეს მეუღლის, საქართველოს დამსახურებული ექიმის და ღირსეული პიროვნების**

**გივი ჩიქოვანის**

**გარდაცვალების გამო.**



**ედუარდ წიფურია, პალიკო კინტრაია, მანანა შანიძე, გენო ბერძენიშვილი, დოდო ჯანაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლო მეგობრის, საქართველოს დამსახურებული ექიმის**

**გივი ჩიქოვანის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს და ახლო ნათესავებს.**

## შეუცნობელი

# ბედნიერების ხიფათი

**მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანი სამყაროს კვანტურად აღიქვამს. ეს აღმოჩენა ბრიტანელ სწავლულს, მედიცინის დოქტორს ემეს ნების ეკუთვნის, რომელიც სპორტულ ასპარეზობებს აკვირდებოდა. მეცნიერი გაკვირვებული იყო აღფრთოვანების ხშირი გამოვლინებებით — იმ ხვევნა-კოცნით, რომელსაც გამარჯვების შემდეგ ანდა, ვთქვათ, დადებული ლელოს შემდეგ მოთამაშეები მართავდნენ.**

დოქტორმა ნებიმ 32 ქვეყნის 188 ათლეტის ხვევნა-კოცნა გააანალიზა, რომელიც სპორტის 21 სახეობაში, მათ შორის ბადმინტონში, თავისუფალ ჭიდაობაში, ცურვაში და ა.შ. ასპარეზობდა და დაადგინა, რომ სპორტის სახეობის და სპორტსმენის სქესისა და ეროვნების მიუხედავად, ბედნიერი ჩახუტება მხოლოდ სამ წამს გრძელდება!

**— ეს შემთხვევითი ამბავი სულაც არ არის!** — ამბობს დოქტორი ემესი. — **საქმე ის არის, რომ მსგავს მოქმედებათა უმრავლესობაც ამავე „დროის ფანჯარაში“ ეტევა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სამყაროს კვანტურად (ანუ ულუფებადძ აღვიქვამთ, რომლებიც დაახლოებით სამწამიან მონაკვეთებში ეტევა.**



საგულისხმოა, რომ სამყაროს კვანტურად აღქმის შესახებ თეორიას საფუძველი ჯერ კიდევ 100 წლის წინათ ჩაეყარა. მაშინ მეცნიერებმა გააანალიზეს ადამიანის მრავალი მოქმედება — ბავშვის ღუღუნ-ქესტიკულაციით დაწყებული და მუსიკალური ფრაზების შედგენით დამთავრებული. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საბაზო ფიზიოლოგიური პროცესების უმრავლესობა — ვთქვათ, თავისუფალი სუნთქვის ციკლი, ან ნერვული სისტემის აქტივობის აქტები — თითქმის თანატოლ, დაახლოებით სამწამიან ბლოკებად იყოფა.

ფიზიოლოგები ამას იმით ხსნიან, რომ **ადამიანის ნერვულ სისტემას ბუნებრივი „სატაქტო სიხშირე“ აქვს, რომელიც დროის მოცემულ მომენტში ჩვენს ქცევას განსაზღვრავს და იგი სწორედ სამ წამს შეადგენს.**

ამას ფსიქოლოგებიც ადასტურებენ: თურმე შეგრძნება „აქ და ახლა“ სწორედ მაგდენ ხანს გრძელდება. ზოგადად კი მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ **სამწამიანი რიტმი, შესაძლოა, ჩვენი გონების მუშაობისთვის სულაც საბაზო იყოს.**

**— ეს რიტმი ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური განვითარების საძირკველშივეა ჩადებული,** — ასე ხსნის ამ მოვლენას მიჩიგანის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი ჯეფრი ჰერტენი. — მაგალითად, **აღქმის კვანტები ათმილიწამიანი შუალედებისგან რომ შედგებოდნენ, ჩვენ ერთი რიგით უფრო სწრაფად მოვახდენდით რეაგირებას ნებისმიერ მოქმედებაზე, მაგალითად, ტყვიებისთვის თავის აცილებას შევძლებდით. მაშინ ისინი ჩვენთვის ისეთივე ადვილად შესამჩნევი იქნებოდნენ, როგორც, მაგალითად, ჩვენი მიმართულებით გადმოგდებული ბურთი. ხოლო ჩვენ რომ დროის ერთწუთიანი შუალედებით გვეცხოვრა, დედამიწაზე უამრავი ისეთი რამ მოხდებოდა, რაზეც რეაგირებას უბრალოდ ვერც მოვასწრებდით.**

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანელი ფსიქობიოლოგი კოლვინ თრევერტენი კოლეგებს არ ეთანხმება.

**— ჩვენი ორგანიზმი უამრავ სხვა რიტმულ აქტივობას ავლენს, მათ შორისაა ზოგიერთი რეფლექსი, რომელიც წამის მეათედებში მოქმედებს. როგორც ჩანს, ისინი ერთად განაპირობებენ ჩვენს მიერ დროის შეგრძნებას, რომელიც გაცილებით უფრო მოქნილია, ვიდრე ეს „მოსაწყენი“ სამწამიანი მეტრონომი.**

ამიტომაა, რომ ზოგიერთი ადამიანის ბედნიერება შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.

ერთბაშად სამი სამეცნიერო ცენტრის — იელის, დენვერის ამერიკული და იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტების სპეციალისტები ამტკიცებენ: **„ცხოვრებაში ბედნიერება არ არსებობს!“ მეტიც: მეცნიერთა აზრით, ბედნიერებისკენ სწრაფვას ადამიანის ფსიქიკისთვის ზიანის მოტანა, ცხოვრების დანგრევა და მისი შემოკლებაც კი შეუძლია!**

მრავალი წლის დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ადამიანები, ვინც ბავშვობაში მხიარულნი და უდარდელნი იყვნენ, საშუალოდ უფრო ნაკლებს ცოცხლობენ, ვიდრე მათი შედარებით პირქუში თანატოლები. იღბლიანთა ხანმოკლე სიცოცხლის მიზეზი კი რისკზე წასვლის მათი მზადყოფნა ყოფილა.

მეცნიერები ამას იმით ხსნიან, რომ ბედნიერების შეგრძნება გონებას ბანგავს, ადამიანები უფრო უდარდელნი ხდებიან. რისკს კი, რამდენადაც ცნობილია, უსიამოვნებებიც მოსდევს, მათ შორის სიცოცხლისთვის ერთობ სახიფათოებიც.

ამტკიცებენ იმასაც, რომ მავნეა ასევე ბედნიერებისა და მისი მიღწევის აღმწერი წიგნები. მკითხველები, რომლებიც ეგრეთ წოდებულ პოზიტიურ ფსიქოლოგთა რჩევებს აყვებიან, ეიფორიის გამო, ბედნიერების დევნას იწყებენ და ერთი მეორეს მიყოლებით წარუმატებლობას განიცდიან. დეპრესიის მიზეზიც სწორედ ეს ხდება ხოლმე.

**დალი ხუნდაძე**

### ინფორმაცია თემაში

**თურმე სიხარულის გრძნობას ჩვენ... თავის ტვინის მხოლოდ ცალი ნახევარსფეროთი განვიცდით! ეს მოულოდნელი დასკვნა ვისკორსინის უნივერსიტეტის ემოციების ნეიროლაბორატორიის სპეციალისტებმა დირექტორ რიჩარდ დევიდსონის ხელმძღვანელობით გამოიტანეს. ექსპერიმენტები, რომლებშიც ათასობით მოხალისე მონაწილეობდა, აჩვენეს, რომ ისეთი შესანიშნავი გრძნობები, როგორებიცაა სიცოცხლით ტკბობის უნარი, ოპტიმიზმი, სიმხნევე და იმედი თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში ინახება. მარჯვენა ნახევარსფერო კი სევდის, გულის გატეხვისა და სინანულის „თავშესაფარია“. ამიტომაა, რომ ყველა სკეპტიკოსს, პესიმისტსა და თვითმკვლელს დომინანტი თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო აქვს, ოპტიმისტებს კი მარცხენა.**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**● ტიბეტელი მღვდელმსახურები იყვნენ ხელჩართული, უიარაღო ბრძოლის პირველი ოსტატები.**

**● ციმბირში მცხოვრებ ერთ-ერთ ხალხს ხანტებს, აქვთ ზღაპარი, რომელშიც მთავარი მოქმედი პირი ლენინია. მას მთვარის ფაზებს ადარებენ — ის ხან ახალგაზრდაა, ხან დაჩაჩანაკებული მოხუცი.**

**● ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მათუსალა, რომელმაც ბიბლიის მიხედვით 696 წელს იცოცხლა, სულაც არ მომკვდარა სიბერის გამო, არამედ წარღვნამ იმსხვერპლა.**

**● ვინც პარნასის წყაროს დალევს, ის შემოქმედებითი უნარით აღივსება და ეს ძალა მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაჰყვება, მხოლოდ ეს წყალი ერთადერთი „ტრანსპორტით“ — ფრთიანი პეგასით უნდა ჩამოიტანო.**

**● ერთხელ ეჭვიანმა ჰერამ, თავისი ქმრის ერთ-ერთი სასიყვარულო კავშირის ამბავი რომ გაიგო, ის ქალი ცხოველად აქცია. ქალს ტყეში საკუთარი შვილი გადააწყდა, მან დედა ვერ იცნო და ისარი ესროლა. ზევსმა ისარს მიმართულება შეუცვალა, ახალგაზრდა კი ზუსტად იმ ცხოველად აქცია და ორივე ცაზე გადაიტანა — ეს ცხოველები კი დათვები იყვნენ.**

**● პალეოზოურ ერაში, 400 მილიონი წლის წინათ, ოკეანეებში ცხოვრობდნენ თავფეხიანი მოლუსკები, რომელთა წაწვეტებული ნიჟარის სიგრძე 10 მეტრს აღემატებოდა.**

**● ცნობილი ჩინური სიმბოლო ინი და იანი მონღოლურ კულტურაში თევზის თვალებად გარდაიქმნა და მარადიული სიფხიზლის სიმბოლო გახდა. თევზებს ხომ თვალი მუდამ გახელილი აქვთ.**

**● პოემაში გილგამეშზე ბიბლიის ანალოგიური ისტორიაა მოთხრობილი — ადამიანი უკვდავებას გველის გამო კარგავს.**

**● ხისგან დამზადებული და შიგნიდან და გარედან კუპრით დამუშავებული ნოეს კიდობნის სიგრძე 160 მეტრი იყო, სიგანე — 27, სიმაღლე კი — 16 მეტრი.**

**● ძველი ინდიელები სტიქიურ უბედურებებს დრაკონებს, ურჩხულებს მიაწერდნენ, ხოლო ცალფეხა ურჩხულებს კი ისინი ტორნადოს უწოდებდნენ.**

**● პეკინიდან 75 კილომეტრის დაშორებით იუნიუს ტაძრის სარდაფში იპოვეს 4X5 სანტიმეტრის ზომის ზარდახშა, შიგ კიდევ ერთი და კიდევ ერთი. გაირკვა, რომ ის 544 წელსაა გაკეთებული და იცით, რა ინახება ყველაზე მცირე ზარდახშაში, რომელიც მხოლოდ მერვე ნაწილია და დანარჩენი შვიდი ნაწილი ჩინეთის სხვა შვიდ პროვინციაშია განაწილებული? — ბუდას ფერფლი.**

**● ტურ ჰეიერდალმა გადაწყვიტა, პრაქტიკულად დაემტკიცებინა ლეგენდა, რომლის მიხედვითაც სამხრეთ ამერიკის მცხოვრებნი ოკეანეთში ტივებით გაემგზავრნენ. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი პოლინეზიის დასახლებას, რომლის ხალხთა ბელადს კონ-ტიკი ერქვა.**

**● XVIII საუკუნემდე სწავლულებს შეუძლებლად მიაჩნდათ „ციდან ქვის ჩამოვარდნა“. აღმოჩენილი მეტეორიტული ნამსხვრევები უძველესი ხელოვნურად შექმნილი შენადნობი ეგონათ.**

**● ორ მოჩხუბართაგან გოეთე დამნაშავედ მიიჩნევდა მას, რომელიც უფრო ჭკვიანი იყო.**

**● ნოეს კიდობანში სულ რვა კაცი იჯდა: ნოე, მისი ცოლი, მისი სამი ვაჟი და მათი ცოლები.**

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— ქმარმა გასაოცარი, ზღაპრული, დაუვიწყარი ღამე მაჩუქა!!!

— რაო, ასეთი ვნებიანი და ალერსიანი იყო!

— არა, უბრალოდ გუშინ მივლინებით გაფრინდა.

* * *

ქმარმა გიღალატათ და სამაგიეროს გადახდის სურვილით ატაცებული, მზად ხართ, პირველსავე შემხვედრს ჩაუწვეთ საწოლში?



ჩემი ტელეფონის ნომერია 2322332.

* * *

— ძალიან ვნერვიულობ ჩემი ქმრის გამო.

— რა მოხდა?

— დილით საყვარელთან წავიდა, შუადღისას კი იმ საყვარელმა დამირეკა და სკანდალი ამიტეხა, აქამდე სად არისო.

* * *

ამბობენ, კატა გვეხმარება სტრესის მოხსნაშიო. მართლაც ასეა — წიხლს ამოარტყამ თუ არა, მაშინვე გულს მოგეშვება.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24